

ISSN 0130 — 1624

# დროშა

მარტი
№ 3 1993

# პენ-ცენტრი საქართველოში

„პენ-კლუბი“ მწერალთა საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც 1921 წელს დააარსა ინგლისელმა მწერალმა ქალმა კ. ე. დაუსონ-სკოტმა. „პენ“ კალამს ნიშნავს ინგლისურად და ამავე დროს სიტყვების – პოეზია, ესსე, ნოველა პირველი ასოებისაგან შედგენილი აბრევიატურა გახლავთ, პენ-კლუბის საქმიანობას წარმართავს პრეზიდენტი, რომელსაც ორი წლის ვადით ირჩევენ და აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი, პრეზიდენტები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, როგორც წესი, აღმასრულებელი კომიტეტი კი არსებითად უცვლელია და ძირითადად ინგლისელებისაგან შედგება.

მეორე მსოფლიო ომის დროს პენ-კლუბი დიდ დახმარებას უწევდა გერმანელ ფაშისტთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მწერლებს, ომის მერე კი უკვე – სოციალისტური ქვეყნებიდან ლტოლვილსა და ამ ქვეყნებში დევნილთ.

პენ-კლუბს მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში აქვს დღესდღეობით თავისი პენ-ცენტრი, 1991 წელს ჩვენი მაშინდელი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ქართველმა მწერლებმა ასეთი პენ-ცენტრი დააარსეს საქართველოშიც. ქართული პენ-ცენტრის საპატიო თავმჯდომარეა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, თავმჯდომარე – ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

აქვე გთავაზობთ დიდი ფრანგი მწერლის, პოლ ვალერის სიტყვას, წარმოთქმულს პენ-კლუბის ერთ-ერთ თავყრილობაზე, რომელიც პარიზში გაიმართა.

№ 3, მარტი, 1993 (672)

დროშა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

დამფუძნებლები:
მწერალთა საერთაშორისო გაერთიანება „პ. ე. ნ. კლუბის ქართული ცენტრი“ და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი — თავმჯდომარე, გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), აკაკი ბაქრაძე, ვასილ გვეტაძე, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ძილაძე, ნოდარ ჯაველიძე.



● წვეული დგება ახლა ფეხზე თქვენ წინაშე... სულ ამ რამდენიმე დღის წინათ პენ-კლუბის არსებობისაც კი არა ვუწყოდი რა. აღტაცებული ვარ ამ დიდებული საკრებულოთი, სადაც ისეთ ადამიანებს ვხედავ, როგორიც გოლსუორთია, პირანდელო, უნამუნო, კუპრინი და ამდენი სხვა მწერალი ყველა ეროვნებისა ამდენი ჩვენებური მწერლის გვერდით.

მაგრამ არ შემიძლია მაინც, არ მოგახსენოთ იმ ბუნდოვანი ფიქრებისა და იმ, ცოტა არ იყოს, უცნაური შეგრძნებისა გამო, რაც მე მეუფლება ახლა, თქვენი ამ თავყრილობის შემყურეს.

ყოვლად წარმოუდგენელი და თითქმის აუხსნელი მგონია მე ეს შეკრება. არ ვიცი, რა, მაგრამ არის ყოველივე ამაში რაღაცა უეჭველად პარადოქსული.

ლიტერატურა ხომ სიტყვის ხელოვნებაა... ურთიერთგაგებინების ზიარი, საერთო საშუალების ხელოვნება...

გეომეტრებს, მაგალითად, ეკონომისტებს, ან ფაბრიკანტებს შეუძლიათ, როცა მოისურვებენ, მაშინ შეიკრიბონ და ყოველთვის სასარგებლო იქნება ეს შეკრება ყოველი მათგანისათვის, რადგან მათი ინტერესის საგანი ერთია და საერთო...

მაგრამ მწერლები!.. ადამიანები, ვისი ხელოვნებაც მათსავე მშობლიურ ენას ემყარება უშუალოდ და, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმის განვითარებასა და სრულყოფას გულისხმობს, რაც ყველაზე აშკარად — ყველაზე უფრო სასტიკადაც ალბათ — აშორებს ერთ ხალხს მეორისაგან!.. რას მოასწავებს ეს შეკრება იმ ადამიანებისა, ვისი დანიშნულებაც ყოველი ერის წინაშე უცილობელი დაცვაა, გამაგრება და გაუკეთესება იმ დაბრკოლებისა, რაიც ამა თუ იმ ერს გამოარჩევს და განასხვავებს ყველა დანარჩენისაგან? ვით არის ეს შესაძლებელი?

ამას, ბატონებო, სასწაული ჰქვია და ეს სასწაული მხოლოდ სიყვარულს შეიძლება მოასწავებდეს.

ლიტერატორებს ერთიმეორეზე შევარდნიათ გული! არახალია ეს სასწაული, ძველია; ვირგილიუსი ჰომეროსისაკენ ილტვოდა... ჩვენ, მაგალითად, ფრანგებს, ვინღა არ გვყვარებია? — იტალია რონსარით, ესპანეთი კორნელით, ინგლისი ვოლტერით, გერმანია და ახლო აღმოსავლეთი რომანტიკოსებით, ამერიკა ბოდლერით... და საუკუნით საუკუნემდე, როგორც ძველსა და შეუცვლელ საყვარლებს, ისევ საბერძნეთსა და რომს ვუბრუნდებოდით და ვუბრუნდებით. საბერძნეთსა და რომს მე განვიხილავ, როგორც სხვებზე მხოლოდ ცოტათი უფრო დაშორებულ სამყაროს. ჰომეროსი სულ რაღაც მილიონი კილომეტრით არის დაშორებული ჩვენგან და უნდა შევუნდოთ ალბათ, თუ მანძილის ამ სიშორის გამო ვერ არის დღეს ჩვენს შორის.

აი, ამ ერთიმეორეზე შეყვარებულმა და ერთიმეორის ფლობის დაუოკებელი ჟინით აღვსილმა ლიტერატურებმა მოსძებნეს დღეს ერთმანეთი; მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ, რომ შეყვარებულებს ერთიმეორეში უწინარეს ყოვლისა ის ხიბლავთ და ის იზიდავთ, რაისაც არა უწყიან რა და ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს უუწყებლობა სდებდეს ფასს სიყვარულის საგანს და ამ უუწყებლობის გარეშე არც არსებობს სიყვარული!

რაოდენ სრულადაც არ უნდა ვფლობდეთ ჩვენ უცხო ენას, რაოდენ ღრმადაც არ უნდა ვიყოთ ჩახედულნი ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში, შეუძლებელია, მე ვფიქრობ, რომ ისე გავითავისოთ ამ ხალხის ენა და ლიტერატურა, როგორც იმ ადამიანებმა, ვისთვისაც ეს ენა და ეს ლიტერატურა მშობლიურია. ყოველთვის არის რაღაცა წახნაგი აზრისა, რაღაცა უფაქიზესი წვრილმანი, რაც მიუწვდომელია ჩვენთვის და ამიტომ არასოდეს არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმის სრულსა და უპირობო ფლობაში, რაც ჩვენთვის უცხოა.

ლიტერატურებს შორის ყოველთვის რჩება მაინც რაღაც გადაულახავი და შეუღწევადი სიფრიფანა ქსოვილი... შეიძლება ამ ქსოვილის კიდევ უფრო გასიფრიფანება, შეიძლება უკიდურესად გაფაქიზება და გაჰაეროვნება, მაგრამ შეუძლებელია მისი ხელყოფა. ღვთის მადლით, ერთიმეორის ფერება და ალერსი ამ ურთიერთშეუღწევადი ლიტერატურებისა სულაც არ არის ამის გამო ნაკლებად ნაყოფიერი. პირიქით — გაცილებით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე იქნებოდა მაშინ, ყველაფერი რომ ბოლომდე გასაგები ყოფილიყო. შემოქმედებითი გაუგებრობანი თავისას შვრებიან და სრულიად მოულოდნელ ღირებულებებს შობენ... ჩვენი შექსპირი არ არის ინგლისელების შექსპირი; მეტიც — ვოლტერის შექსპირი სხვაა, ვიქტორ ჰიუგოსი კი — სხვა... ოცამდე შექსპირი არსებობს ამ ქვეყანაზე, ისინი ამრავლებენ თავდაპირველს, ხვეწენ და მოულოდნელი დიდებით მოსავენ პატიოსან თვალს.

აი, შედეგი საკვირველი ჩვენი ამ უსრული ურთიერთგაგებისა!..

მაგრამ უეჭველად სხვა გამართლებაც აქვს ამ შეკრებას, რომელიც მე ასე ძალიან მეხამუშა ეს-ეს არის.

ეს შეკრება შეიძლება სხვა თვალსაზრისითაც განვიხილოთ და ეს თვალსაზრისი უეჭველად კიდევ უფრო ამაღლებული იქნება.

ეს შეკრება, რომელიც ამჯერად აქ, პარიზში იმართება, მე პირადად, უწინარეს ყოვლისა, თავად საფრანგეთს მაგონებს თავისი სტრუქტურით. არ არსებობს დედამიწის ზურგზე მეორე ისეთი მრავალგვაროვანი ერი, როგორიც ჩვენია და მიუხედავად ამისა, ყოვლად დასრულებულია მაინც ჩვენი მთლიანობა.

განათუ საფრანგეთი არ არის ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთობლივი ევროპა?

დასასრულს, ნება მომეცით, ბატონებო, მოგაგონოთ ის ადამიანი, ვინც მე უზომოდ მიყვარდა და პატივს ვცემდი. მალარმემ ძირისძირობამდე იცოდა, თუ რა არის ლიტერატურა, მთელი მეტაფიზიკა შექმნა მან ამ ჩვენი ხელოვნებისა.

იგი ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ ჩვენი ხელოვნების დანიშნულება მარტოოდენ ხალხის გართობა შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი ფიქრობდა და მთელი თავისი არსებით სწამდა ეს, რომ სამყაროს აზრი ბოლოსდაბოლოს მისივე სრული თვითგამოხატვა გახლავთ. მალარმე ამბობდა — სამყარო იმისთვის შეიქმნა, რომ ბოლოსდაბოლოს ერთ კარგ წიგნში განსრულდესო. ასეთი იყო მისთვის სამყარო და ეს იყო მისი სამყარო. ბოლოს მაინც ყველაფერი უნდა გამოიხატოს და ყველა, ვინც ამას ცდილობს, ყველა, ვინც ამისთვის და ამითი ცხოვრობს, მისი აზრით, ჰქმნის იმ ერთ დიდ თხზულებას, — ყოველი მათგანი ერთ პატარა ნაწილს ასრულებს ამ სამუშაოსი.

ეს წიგნი, ბატონებო, ყველა ენაზე იწერება.

მე ვსვამ ამ წიგნის სადღეგრძელოს!

ფრანგულიდან თარგმნა
ჩამუკა ცეცხლაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება! საბაჟო ფუნქციონირებს



ირაკლი ქადაგიშვილი

პარლამენტის ერთ-ერთ პირველსავე სხდომაზე, როცა ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების საკითხს განიხილავდნენ, ბატონ თენგიზ სიგუას ასეთი შეკითხვა დაუსვეს: შეიცვლება თუ არა მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობა, — 95%-ით, — უპასუხა პრემიერმა.

მაშინ ამ პროცენტმა ალბათ ბევრ ჩვენგანში ეჭვი დაბადა, თუმცა მალევე მივხვდით, ეს ეჭვი უსაფუძვლო იყო. ასეც მოხდა. მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობა თითქმის ძირფესვიანად განახლდა, თუმცა შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ძალზე ნაადრევია, ნიშანდობლივია, რომ კაბინეტის ახალ შემადგენლობაში რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდის კანდიდატურაც შეირჩა. ამ ინტერვიუში ერთ-ერთ მათგანს გაგაცნობთ, საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი. გაგაცნობთ ახალ ამპლუაში, რადგან ირაკლი ქადაგიშვილს, ვფიქრობ, ისედაც კარგად იცნობენ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესა და ორგანიზატორს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მისი პიროვნების დასახასიათებლად მხოლოდ მშრალი შტრიხები ვერ იკმარებს. საკმარისია, თუნდაც ერთხელ შეხვდე პირისპირ და გაესაუბრო, რომ მაშინვე დარწმუნდები, ამ ერთი შეხედვით მკაცრი და შეუვალი პიროვნების უკან დგას თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, განათლებული, პრინციპული და შინაგანად ძალზე ერუდირებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავისუფლად შეგიძლია ანდო მესაჭის როლი.

დაიბადა 1962 წელს, თბილისში, 1979 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 ექსპერიმენტული სკოლა, 1985 წელს კი ტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესიით ინჟინერია. ჯარგამოვლილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი აქტიური წევრია. მთელი მისი მუშაობა როგორც სტუდენტობის, ასევე შემდგომ პერიოდში, გიორგი ჭანტურიასთან და მამუკა გიორგაძესთან ერთად დაკავშირებული იყო ამ პარტიასთან. იყო მდივანი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე, ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრი, ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წევრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე. ახალ პარლამენტში არჩეულ იქნა დეპუტატად პარტიული სიით კახეთის მესამე საარჩევნო ოლქისაგან. მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბების დროს გახდა ამ კაბინეტის წევრი და საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე. კანონის თანახმად, როგორც მინისტრთა კაბინეტის წევრს, შეუწყდა დეპუტატის უფლებამოსილება.

ჩვენი საუბარიც ირაკლი ქადაგიშვილთან სწორედ ამ ახალ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებას შეეხო.

**— ბატონო ირაკლი, გიფიქრიათ თუ არა ადრე ამ სისტემაში გემუშავათ, მითუმეტეს ხელმძღვანელის თანამდებობაზე?**

— ეს სამსახური ჩემთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, მე მხოლოდ ერთ რამეზე მიფიქრია. მემუშავა იქ, სადაც სულ მცირე სარგებელს მაინც მოვუტანდი ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. ამ თანამდებობაზე ჩემი არჩევა, კი ვფიქრობ, სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის ჩემდამი ნდობამ განაპირობა.

**— თქვენ, ისევე როგორც სახელმწიფო სტრუქტურების ბევრ სხვა ამჟამინდელ წინამძღოლს, მეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა გერგოთ. ადაპტაციის ყველაზე რთულმა პერიოდმა უკვე განვლო. რისი გაკეთება შეძელით დროის ამ მცირე მონაკვეთში და თუ შეიძლება ძალიან მოკლედ გაგვაცანით თქვენი სამუშაოს შინაარსი.**

— დავიწყოთ იმით, რომ საბაჟო სამსახური დღეს ყველა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური დასაყრდენია. საბაჟო სამსახური ქვეყანას აძლევს დიდ შემოსავალს. მისი წილი ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური საბიუჯეტო შემოსავლის 40 % შეადგენს. იგი ერთ-ერთი სამსახურია, რომელიც მუშაობს კონტრაბანდის წინააღმდეგ. ამ სამსახურით ხდება გადამწყვეტი პოლიტიკის გატარება სხვა ქვეყნებთან და ა. შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით ადვილი მისახვედრია, რა როლი და ფუნქცია აკისრია საბაჟო სამსახურს.

საქართველოს კი საბაჟო სამსახური დღემდე ფაქტიურად არ ჰქონია და არც პროფესიონალური მებაჟეები ყოლია საკმაო რაოდენობით. თავისი მისიის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭიროა, ამ სამსახურის სათანადო დონეზე აყვანა. ეს იმას ნიშნავს, რომ დარგში უნდა მოხდეს კარდინალური ცვლილებები.

ამ მიმართულებებით, ვფიქრობ, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჩა-

ტარდა საკადრო ცვლილებები, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე თბილისის საბაჟოში. მთელი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება დროზე გამოვცეთ ნორმატიული დოკუმენტები, რომელიც მთავარი იარაღი იქნება საბაჟო საქმის ორგანიზებაში.

იმისათვის, რომ არ მოხდეს კონტრაბანდის გატანა ან შემოტანა და სახელმწიფომ მიიღოს თავისი კუთვნილი შემოსავალი, ყველა ტვირთი, რომელიც გაედინება საქართველოდან ან შემოდის საქართველოში უნდა დაექვემდებაროს მკაცრ კონტროლს. ამჟამად მთავრდება ფორმირების ჩამოყალიბება, რომელიც ტრასებზე დაამყარებს წესრიგს. მებაჟე ხომ სახელმწიფოს პირველი სახეა, ამიტომ ღირსეული კადრების შერჩევა და მომზადება საბაჟო სამსახურის უპირველესი მოვალეობაა. ამ მიმართებით შეიქმნება საკონსულტაციოები, რომლებიც უზრუნველყოფენ კადრების საიანადო მომზადებას. აგრეთვე უახლოეს მომავალში გამოვა ბუკლეტები, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება როგორც ამ დარგის სპეციალისტებისათვის, ასევე ამ სამსახურით დაინტერესებული ყველა იურიდიული პირისათვის.

ჩამოთვლილი თუ ჩამოუთვლელი არ არის ერთი და ორი დღის საქმე და მათი დროული მოგვარება ბევრად არის დამოკიდებული თვით ქვეყნის სტაბილიზაციასთან. ამჟამად კი ყველამ უნდა იცოდეს, რომ ავად თუ კარგად საბაჟო ფუნქციონირებს და ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს მის ნორმალიზაციას, პასუხს აგებს თავისი ქვეყნისა და კანონის წინაშე.

**— ბატონო ირაკლი, ხომ ვერ ჩამოგვითვლიდით თუნდაც მშრალ ნუსხას იმ საბაჟოებისა, რომლებიც მოქმედებენ ან ამოქმედდებიან უახლოეს მომავალში?**

— ესენია თბილისის საბაჟო, რომელშიც შედის რკინიგზა, აეროპორტი და აზერბაიჯანზე გამავალი საბაჟოები. აგრეთვე ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და ბოლნისის საბაჟოები.

**— პერსპექტივაში?**

— პერსპექტივაში გვაქვს ქუთაისის, სამტრედიის, გაგრისა და ასევე ცხინვალის საბაჟოს გახსნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაჟო გახდება აგრეთვე ახალციხის საბაჟო.

**— თქვენ ბათუმის საბაჟო ახსენეთ, როგორც ვიცი, იგი დღემდე არ ემორჩილებოდა თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებას. რა მდგომარეობაა ამჟამად?**

— ეს საკითხი კარგა ხანია მოგვარდა.

**— რა დასამალია და დღეს ბევრი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, რომ საქართველოდან გადის დიდძალი, ასე ვთქვათ, აკრძალული ტვირთი და ეს ხდება ყველას თვალწინ, ყოველგვარი წესებისა დ კანონების გვერდის ავლით, ე. წ. „მარცხენა" გზებით. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის მწირი ნორმატიული ბაზაც იყოს, რომელიც დღემდე იყო მოქმედებაში.**

— საქმე ის გახლავთ, რომ ტვირთბრუნვის ნუსხის შედგენა მარტო ჩვენს კომპეტენციებში არ შედის. მის შედგენაში მონაწილეობას იღებენ ეკონომიკის, ვაჭრობისა და ფინანსთა სამინისტროები.

მე პირადად საბაჟო პოლიტიკაში მომხრე ვარ ერთი რამის — მაქსიმალურად გამოვიყენოთ საქართველოს მეტად ხელსაყრელი სატრანზიტო მდებარეობა და გავატაროთ ისეთი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა, რომ ამით ყველა დაინტერესდეს, რომ ყველას ქონდეს სურვილი ნაკლები საბაჟო გადასახადითა და რაც შეიძლება მეტი ტვირთბრუნვით, მეტი სარგებელი მოუტანოს ქვეყანას და ასევე კმაყოფილი დაგვრჩეს მოსახლეობაც. სხვანაირად ვერც დიდი თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ ძლიერებაზე ლაპარაკი ფუჭია.

**— რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნია თქვენს კომიტეტს საბაჟო კონტროლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის?**

— ამ მხრივაც მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ. ჩვენი ტექნიკა იმ ორიოდე სატელევიზიო დანადგარით შემოიფარგლება, რომელიც თბილისის საბაჟოშია დამონტაჟებული, მაგრამ არის გარკვეული კონკრეტული წინადადებები ჩვენი უცხოელი კოლეგებისაგან, რომლებიც გვპირდებიან დახმარებას ტექნიკური აღჭურვილობის შეძენაში.

**— ბატონო ირაკლი, ხომ არ გაგიჭირდათ აქტიური პოლიტიკისაგან ჩამოშორება?**

— ალბათ, ის გაქვთ მხედველობაში, რომ ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა არ არის წმინდა პოლიტიკა. სხვამხრივ, როცა საკუთარი, დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ვაწყებთ, პოლიტიკა ასახვას სწორედ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში ჰპოვებს, პოლიტიკოსისთვის ეს არ ნიშნავს პოლიტიკის ჩამოშორებას. პოლიტიკოსმა სახელმწიფო ცხოვრებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს ასეა ყველა ნორმალურად ჩამოყალიბებულ ცივილიზებულ სახელმწიფოში. ასე იქნება ჩვენთანაც. ამდენად არც ჩემი სამსახურია გამონაკლისი.

**— საინტერესოა თქვენი აზრი დღევანდელ პარლამენტზე.**

— მე მიმაჩნია, რომ ეს პარლამენტი ნორმალური პარლამენტია. ამ პირობებში, რაშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, მისი მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სხვანაირად რომ ვთქვა, ის ჩვენი დღევანდელი საზოგადოების სახეა.

**— ახალი წელი ეს-ეს არის, დაიწყო. რა სურვილებს გაუმხელდით ჩვენს მკითხველებს ჟურნალის ფურცლებიდან?**

— ერთ რამეს ვიტყოდი. საქართველო მეტ კატაკლიზმებს ველარ გაუძლებს და ხერხემალში გადატყდება. ყველა ერთობლივად უნდა ვეცადოთ. სახელმწიფომ დაიწყოს ფუნქციონირება და ეს ომი აფხაზეთში ღირსეულად დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. დროა, ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს და იწყოს წინსვლა ნამდვილი დამოუკიდებლობისაკენ. ვიკმაროთ ამდენი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი და ერთხელ და სამუდამოდ შევიკრათ და შევდულაბდეთ ნათელი მომავლისათვის. შევიყვაროთ ერთმანეთი და სიყვარული უთუოდ გადაგვარჩენს.

**— რაკი სიტყვამ მოიტანა, იქნებ ერთ კითხვაზეც მიპასუხოთ, პირადად ცხოვრებაში როდის აპირებთ სიყვარულის „პოლიტიკის" გატარებას"?**

— ამაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

ეს რომ თქვა, გაიღიმა და დამნაშავესავით ჩაღუნა თავი. ჩვენ კი გვჯერა, რომ ირაკლი ქადაგიშვილი მალე ამ კითხვაზეც თავაწეული უპასუხებს, რადგანაც იგი ყოველმხრივ ღირსია ნამდილი, ჭეშმარიტი და ამაღლებული სიყვარულისა.

ღმერთმაც ხელი მოუმართოს!

ესაუბრა **ნუნუ მაღრაძე.**

დღეს იქნებ ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ რესპუბლიკანიზმის იდეურ სულისჩამდგმელად და სტრუქტურული პირველ ნ ი მ უ შ ი ს ერთ-ერთ შემოქმედად საქართველოში მე-11 საუკუნის მონასტრები გამოდიან. ამ დიადი ისტორიული ნიშანსვეტის აღმმართველი „საქართველოს ეროვნული სინდისი", გიორგი ათონელი გახლდათ. სამონასტრო მართვა-გამგებლობაში მან ძმობის უფლებები გააფართოვა, შექმნა განსაკუთრებული ორგანო, „სავანის ძმათა კრება" და მამასახლისის დადგინების მონარქიული წესი რესპუბლიკურით, არჩევითობით შეცვალა; საერთოდ შეზღუდა მამასახლისის ხელისუფლება და ის მხოლოდ აღმასრულებლის ფუნქციით შემოფარგლა (ანალოგიური რეფორმის გატარება დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიაში წმინდა ფრანცისკ ასიზელს მე-13 საუკუნეში უცდია).

გიორგი ათონელმა წოდებრივი პრივილეგიები გააუქმა და წინ პირადი ღირსება წამოსწია. 80 უპატრონო ბავშვის აღზრდის და შემდეგ მათი მღვდლებად კურთხევის უპრეცენდენტო ფაქტით აღფრთოვანებული მისი ბიოგრაფი წერდა: მთელს აღმოსავლეთს განეფინა საქმე ესე საკვირველიო. უპრეცენდენტო („საქმე ესე საკვირველი") აქ დაბალი წრის ადამიანთა მღვდლებად კურთხევის ფაქტი იყო და არა ობოლთა მფარველობა.

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ თავისი შედეგებით გრანდიოზული სამონასტრო რეფორმის სულისკვეთება დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრებაზე (მონასტრებზე დაყრდნობით) საეკლესიო იერარქიაზეც გაავრცელა: ეკლესიიდან განაკვეთინა „მთავართა და წარჩინებულთა შვილნი უღირსად გამოჩინებულნი", ხოლო მათ მაგივრად პირადი ღირსების მქონენი და ამავე დროს, რასაკვირველია, ცენტრალური ხელისუფლებისათვის მისაღები ადამიანები დააწინაურებინა.

საუბედუროდ, ეკლესიის დემოკრატიზაციის საქმე საქართველოში წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. კლერიკალმა რეაქციონერებმა ძალები მოიკრიბეს და სამეფო კარს შეუტიეს. არსებული სამართლის თანახმად ეკლესიის უნებართვოდ მეფე თანამოსაყდრეს ვერ დაისვამდა. ეს ნებართვა კი მეფე გიორგი III-ისათვის დემოკრატიული მიმართულების მწერალ-ფილოსოფოსის ნიკოლოზ გულაბერიძის პატრიარქობიდან განყენების და მის ნაცვლად დიდგვაროვან აზნაურთა იდეოლოგიის მიქაელის აღსაყდრების ფასად გამოიმეტეს. ამას გარდა მეფეს ეკლესიის შეუვალობაც აღადგენინეს და გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ: მიქაელმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა „მისტაცა" ანტონ გნოლისთავისძეს და ქვეყნის უპირველესი ვაზირის სახელო „მოივერაგა".

დიდი ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფო წყობის ამ ცვლილებას საერო ცხოვრებაზე ეკლესიის გაბატონებად მიიჩნევს და რომის ეკლესიის მსგავს ცეზაროპაპიზმის დამყარებას ადრის (აქ უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა პაპოცეზარიზმი. ცეზაროპაპიზმი მეფის მიერ უზენაესი სასულიერო თანამდებობის მითვისებას აღნიშნავს, პაპოცეზარიზმი კი — ეკლესიის მეთაურის მიერ სამეფო ხელისუფლების „შეთავსებას". ამ უკანასკნელის კლასიკური მაგალითი რომია, ცეზაროპაპიზმისა კი — ცარისტული რუსეთი). მართლაც, მიქაელ კათალიკოსს უკვე მეფეზე მეტი ძალაუფლება ჰქონდა: სახელმწიფო სამართლის ძალით მწიგნობართუხუცესი მეფის „მამად" იყო მიჩნეული. მეფეს მის დაუკითხავად და მასთან შეუთანხმებლად არაფრის გაკეთება არ შეეძლო. საეკლესიო საქმეებში კი მეფეს უშუალოდ ჩარევის უფლება არ ჰქონდა (არადა ეკლესია ამ დროისათვის მთელი სახელმწიფოა სახელმწიფოში). მიქაელი ორივე უზენაეს ხელისუფლებას აერთიანებდა: როგორც პატრიარქი — საეკლესიოს, როგორც მწიგნობართუხუცესი — საეროს. ასე რომ, ჩვენი საზოგადოების შეგნებაში გაბატონებული აზრი, თითქოს მე-12 საუკუნის საქართველოში ქალის გამეფება ჰუმანისტური იდეოლოგიის აღზევებულობის დასტური ყოფილიყოს, მხოლოდ ცალსახა პროპაგანდისტული პოზიციის ამსახველია. ქალის გამეფება იმ მძიმე კომპრომისის ფასად დაჯდა, რასაც პაპოცეზარიზმის ანუ გაქანებული თეოკრატიის დამყარება მოჰყვა.

მიქაელის კათალიკოსობა და პაპოცეზარიზმის დამყარება საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში მონარქიული წყობილების გამარჯვებას და რესპუბლიკანიზმის მარცხს მოასწავებდა, არადა ეკლესიური რესპუბლიკანიზმი, როგორც აღვნიშნეთ, მანამდე სამოქალაქო რესპუბლიკანიზმის იდეური სულისჩამდგმელი და მოკავშირე იყო. საეკლესიო რესპუბლიკანიზმის მარცხმა სამოქალაქო რესპუბლიკანიზმი არა მარტო იდეური მოკავშირის გარეშე დასტოვა მონარქიზმის წინააღმდეგ საუკუნოვან ბრძოლაში, არამედ ძლიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგეც შესძინა მას. საქმე ის გახლავთ, რომ ეკლესიას სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის თვისებაც ჰქონდა კარგად განვითარებული სამეურნეო და ადმინისტრაციული სისტემით, თავისი დროშით, შემდგომში თავისი ჯარით, საკუთარი სარდლით... სტრატეგიული მოკავშირის გარეშე დარჩენილი მოქალაქეები („კარავისელები") მარცხისათვის განწირულები აღმოჩნდნენ. მონარქიზმი და თეოკრატია სახელმწიფოებრივობის გაბატონებულ ფორმად იქცა.

თეოკრატიული ელემენტის დომინირებას სახელმწიფოში ან პაპოცეზარისტული ავტოკრატიის (რომი), ან ცეზაროპაპისტული მონარქიის (რუსეთი) სრულ გამარჯვებამდე მივყავართ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მონარქი უზენაეს სასულიერო მმართველს უიგივდება და ერის სულიერი წინამძღოლის შარავანდით იმოსება. სათანადო დოქტრინა მას ღვთივკურთხეულ, მირონცხებულ პერსონად „მამაოდ და უფლად" („ცარ-ბატიუშკა") აცხადებს. ეს პოლიტიკური კანონზომიერება საქართველოს ისტორიაშიც თავისებურად სჭვიოდა:

მიქაელის დროინდელი პაპოცეზარიზმის შემდგომ თეოკრატიას, როგორც ჩანს, ცეზაროპაპისტული მოდიფიკაციით უცდია თავისი არსებობის გახანგრძლივება: ჩვენი ქვეყნის მაშინდელმა იდეოლოგებმა მეფე თამარი ღვთაების მეოთხე ჰიპოსტაზად მონათლეს და ამით ის უზენაეს სასულიერო პერსონადაც შერაცხეს; შემზადდა ნიადაგი ცეზაროპაპიზმის დე-იურედ გასაფორმებლად. და თუ ცეზაროპაპისტული თეოკრატია სამართლებრივად ბოლომდე განმტკიცებულ და სანქცირებულ ხელისუფლებად არ იქცა, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად პოლიტიკური კომპრომისების დიდოსტატი მეფე-ქალის მაღალნიჭიერებასაც უნდა ვუმადლოდეთ...

საერო და სასულიერო სფეროების გაუმიჯნაობას (თეოკრატია) მძიმე შედეგები მოჰყვება ხოლმე. ამ ორი სფეროს ალიანსი ერთის მხრივ ეკლესიას ამძიმებს მიწიერი ინტერესებით და რყვნის მას, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს ამჩატებს სოციალური ინჟინერიით, ფუნდამენტალიზმით და ცრუმესიანიზმით, რის გამოც ის სატანოკრატიად (დიდი ინკვიზიტორების ან პირსისხლიანი რუსი ცარების მმართველობად) გადაგვარდება. შესაბამისად იბღალება საზოგადოებრივი ცნობიერებაც...

თეოკრატიისდროინდელი სახელმწიფო წყობის აღდგენაზე ოცნებისათვის საქართველოში თავი არასოდეს დაუნებებიათ. ამიტომაც ეხატებოდა გულზე და დღესაც ეხატება ქართული საზოგადოების გარკვეულ და ფრიად მოზრდილ ნაწილს რუსის იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლოზე

პერატორი (ცეზაროპაპი). რუსვთუმეობა რუსეთის და საქართველოს სახელმწიფო იდეალების ერთგვარი იდენტურობით საზრდოობდა და საზრდოობს. ტყუილად როდი იშველიებდნენ ერთმორწმუნეობის თეზისს...

## პრაქტიკული მონოფიზიტიზმი

თეოკრატიული და ავტოკრატიული წყობის იდეური საფუძველი ქრისტიანობის ერთგვარ მონოფიზიტურ გადამხრელობაშია.

ქრისტე ორბუნებოვანია: ერთის მხრივ სრული ღმერთია, მეორეს მხრივ — სრული კაცი. თუ რომელიმე პიროვნება მხოლოდ მის ღვთაებრივ, არამქვეყნულ ბუნებას იქონიებს მხედველობაში და უგულებელჰყოფს ადამიანურს, მაშინ მისი ცხოვრების წესი გარკვეულ თავისებურებებს შეიძენს: წინ წამოიწევს ამქვეყნური ყოფის ამაოება, ასკეტიზმი, ამსოფლური საზრუნავის უარყოფის, ღმერთზე მინდობის ფსიქოლოგია. და თუ ეს პირადი და ნებაყოფლობითი არჩევანის შედეგი საზოგადოებრივ იდეალადაც შეირაცხა, მაშინ ისეთი სოციალური სინდრომი გაჩნდება, როგორიცაა სიგლახაკე, ანტიკულტურონობა, სოციალური პასიურობა...

ქრისტიანობის ისტორიული განვითარების პირველ ეტაპზე აქცენტი სწორედ ქრისტეს არაამქვეყნულ, ღვთაებრივ ბუნებაზე გაკეთდა, წინ ასკეტიზმმა და მისმა შესატყვისმა მსოფლმხედველობამ წამოიწია. მაგრამ ასკეტიზმზე აქცენტირება ყველა დროში და ყოველნაირ ვითარებაში როდია საჭირო. ასკეტიზმი — ზნეობრივი სრულყოფის მისაღწევი საშუალება — საზოგადოებრივი ყოფის და ადამიანური არსებობის საბოლოო მიზნად როდი უნდა გადაიქცეს. თეოკრატიის პირობებში კი ასკეტური ნორმატივები სწორედ საზოგადოებრივ იდეალებად ტრანსფორმირდება...

სხვა შედეგებს მივიღებთ, თუ აქცენტს ქრისტე ღმერთის ადამიანურ ბუნებაზე გავაკეთებთ. ასეთ შემთხვევაში წინ ამქვეყნური, ჰუმანისტური იდეალებისა და კულტურული ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობის მომენტი წამოიწევს; ჩნდება შემოქმედებითობა, კულტუროსნობა, ადამიანური ნების დამკვიდრების, ბოროტებისადმი შეწინააღმდეგების, სოციალური აქტივობის, აღმშენებლობის ფსიქოლოგია (ნიშანდობლივია, რომ ჩვენი პოლიტიკური ისტორიის უდიდეს და უბრწყინვალეს წარმომადგენელში დავით IV-ში თანამედროვეებმა და შთამომავლებმა აღმაშენებელი დაინახეს).

ქრისტეს ორი ბუნება განუყრელი და შეურევველია. ერთ-ერთის უგულებელყოფა მონოფიზიტური გადამხრელობაა. შესაძლოა ესა თუ ის ეკლესია სიტყვიერად აღიარებდეს ორბუნებოვანებას, მაგრამ რელიგიურ, მით უმეტეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პრაქტიკაში წინ ერთ-ერთი ბუნების შესატყვის ქმედებას წამოწევდეს. ქრისტიანული ეკლესიის ფაქტიურ ისტორიაში ეს ასეც მოხდა. აღმოსავლეთის ეკლესია უპირატესად ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების შესაბამისად წარმართავდა თავის საქმიანობას. მისთვის ასე დამახასიათებელი იყო ასკეტიზმი, ამქვეყნური ყოფის ამაოების შეგნება, იმქვეყნურზე ორიენტაცია, რაც სააქაოს აღსასრულზე, ისტორიის ბოლო, კულმინაციურ მომენტზე სწორებას ავალდებულებდა ადამიანს. აქედან ანტიაღმშენებლური სულისკვეთება, ანტიკულტურონობა და ობსკურანტიზმი...

ასეთი საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის მქონე ადამიანები მმართველობის ერთადერთ ფორმას, ავტორიტარიზმს ჰგუობენ და მოითხოვენ. ბატონყმურ მონობაში ჩვენ დამპყრობლის ძალადობამ კი არ ჩაგვტოვა, არამედ ცალსახა საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბებულმა იმ არასწორმა რელიგიურმა გრძნობებმა, რომლებმაც ჩვენს ხასიათს დაამჩნია დაღი.

დასავლეთის ეკლესიამ მნიშვნელოვანწილად დაძლია თავისი ისტორიული განვითარების ეს საფეხური. მის მეურვეობაში მყოფმა საზოგადოებამ პრაქტიკულ პოლიტიკაში ადამიანური ნების აქტივობის საბოლოოდ კი პიროვნების თავისუფლების იდეა განახორციელა.

საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა აღმოსავლეთში, რომელსაც დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიასთან სიახლოვე ახასიათებდა. და ამის მიუხედავად ბატონყმობისდროინდელმა ქართულმა ეკლესიამ საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: მან პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა და ხელი ველარ შეუწყო საზოგადოების აღმავალ განვითარებას. ეს მით უფრო დასანანია, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია (და არა მართლმადიდებლური, როგორც ამას მართებულად წერს ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე თავის წიგნში — „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია") თავისი ისტორიული განვითარების საუკეთესო ხანაში არ იზიარებდა ბიზანტიის მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას რომთან დამოკიდებულების საკითხში. ქართველები არ შეერთებიან 1054 წლის განხეთქილებისშემდგომ ანათემატს.

რომის ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლისადმი განსაკუთრებული პატივი კარგა ხანს იყო შენარჩუნებული საქართველოში. რომის და მცხეთის სიახლოვე იმდენად დიდი იყო, რომ ლათინები ქართველებს კათოლიკეებადაც კი რაცხავდნენ ხოლმე (იხ. მ. თამარაშვილი — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის").

მოგვიანებით მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მართლმადიდებლური სამღვდელოების ბევრი წარმომადგენელი სომეხ გრიგორიანელებთან ერთად საქართველოში შემოსულ კათოლიკე მისიონერებს მტრულად ხვდებოდა და მათ დარბევასაც კი არ ერიდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ იმ ხანად ფართოდ გავრცელდა ჩვენს საეკლესიო წრეებში ბერძენი კონსულტანტების მოწვევა. შემდგომში ქართული სამღვდელოების თვალი ძირითადად რუსულ მართლმადიდებლობაზე იქნა მიპყრობილი. ბერძნულ-რუსული ორთოდოქსია კათოლიციზმისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## ლექსები

### მიტინგები კარვებიან მოედანზე

საპარლამენტო სასახლის
    კარვებიანი მოედნის
სივრცეში ბრუნავს მორევი,
  ტალღა ტალღაზე დგება.
ერთმანეთს ენაცვლებიან
    ორატორნი და პოეტნი
ოვაჰმე, ლექსი ქართული
    ყელს სად იჭრის და კვდება...

თითქმის ყოველდღე, ზედიზედ,
    მიტინგს მიჰყვება მიტინგი,
ლამის ყოველდღე მშრომელი
    მარჯვენა ტაშზე სცდება,
ზამთრის დღესავით მოკლდება
    მიტინგი და რეიტინგი,
ცარიელდება ბელელი,
    ბაზარი იშრიტება.

ისმის ძახილი ზედიზედ:
    — პარლამენტსა და პრეზიდენტს
დაცვა სჭირდება, დავუდგეთ
    მტრისგან შეუვალ კედლად!
მუხლჩაუხრელად, წელმაგრად
    საქვეყნო ტვირთი ეზიდე,
მტერს დაუღამე თვალები,
    ღამე ათიე თეთრად.

ისმის ძახილი: — ჩამოდი,
    სოფელო და რაიონო,
მანდ ბაღ-ვენახი მოიცდის,
    აქ დაგახვედრებთ კარავს,
მტერთან და მოღალატესთან
    ჩვენ ერთად უნდა ვიომოთ! —
მტერთან? ვინ მტერთან? ამ სიტყვის
    გაგონებაც კი მზარავს.

ქართველი ქართველს ეომოს?
    სადღა ვართ გამოსაჩენი...
სოფელი ქალაქს მოაწყდეს?
    ქვეყანა ვინღა ჰკვებოს...
ხელთ მტკიცედ გვეპყრას სიკეთის
    და სიყვარულის საჭენი,
ერთმანეთს ნუ გავწირავთ და
    საქმე ვაკეთოთ, ძმებო!

ოქტომბერი, 1991.

### ნუ დაიბინდები

დრო გადის. ფერმკრთალდება იმ
        დღეთა აკვარელი,
დროშებიც, ოდესღაც დიდებით
        მოსილები.
დრო გადის. იშლება იმ ომის
        ნაკვალევი,
ვბერდებით, ვმცირდებით ომიდაან
        მოსულები.

თავიდან აღარც მე დავიწყები,
და იმ წლებს საფლავშიც
        დავისიზმრებ...
ხსოვნავ, არ დაიმეწყრო დავიწყებით,
ნუ დაიბინდები, მაისის მზევ!

9 მაისი, 1991.

### ვკითხულობ ასმეერთედ

ერთ პასუხსაც ვერ ველირსე,
თუმც ვიკითხე ასჯერ:
ჩვენს თავს ჩვენვე, დიახ, ჩ ვ ე ნ ვ ე
რატომ ვუსჯით სასჯელს

15 იანვარი, 1992.

---

მი შეურიგებელია და შესაბამისად ეწინააღმდეგება აღზევებულობის ხანის ქართული სამოციქულო ეკლესიის და მისი საუკეთესო წარმომადგენლების სულისკვეთებას.

ჩვენი საეკლესიო პოლიტიკა პრაქტიკული მონოფიზიტიზმის გზას დაადგა, რის შედეგადაც აღმოსავლურმა მენტალიტეტმა მყარად გაიდგა ფეხი საქართველოში.

### „ბედნიერი ერი“

ქართველი ხალხის სულიერი წყობა დღესდღეობით აღმოსავლურია. საქართველო არ ყოფილა აღმოსავლეთი — ის ასეთად გადაიქცა.

ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერება ატავისტურია, ის ჯერაც არ გამხდარა რაციონალური და დისკურსიული, ის უფრო ძველი მითოსური ცნობიერების ბურუსში ტკეპნის ადგილს და ამით ქრისტიანულ სულს ეურჩება. ქრისტიანობა წინ მიმართული მზერაა, სიახლის დამამკვიდრებელია (ა ხ ა ლ ი აღთქმაა), პერსპექტიულია და არა რეტროსპექტული. უკან შებრუნებული მზერა ქრისტიანობაში იუდაისტურ რევანშს უკაფავს გზას. გვიანბიზანტიური ტიპის ორთოდოქსები უფრო უკან იხედებოდნენ, ვიდრე წინ, უფრო „იუდეველები“ იყვნენ, ვიდრე „ელინები“. რუსულ-ბიზანტიური ორთოდოქსია ს ი ძ ვ ე ლ ე ს განსაკუთრებულ ღირსებად რაცხავს და კათოლიციზმისაგან განსხვავებით უარყოფს დოგმატის განვითარებადობას.

დღევანდელი ქართველი ხალხის სული გაჭედა ამ ბიზანტიურ-რუსული ტიპის ორთოდოქსიამ, რომლისთვისაც ასე დამახასიათებელია მეძველიობა და პრაქტიკული მონოფიზიტიზმი. ამიტომ არის ქართველი ხალხი თავისი სოციალური ფსიქიკით უფრო მ რ ე ვ ლ ი, ვიდრე პოლიტიკურ სუბიექტთა ერთობა. ამიტომ შეიძინა მან ბერმონაზვნური მენტალიტეტის ზოგი — სოციალური თვალსაზრისით უსარგებლო — თვისება: სოციალური პასივობა, მომლოდინეობა, სხვისი (ზემდგომების) ხელისშემყურეობა; ამიტომ არის ის მორჩილი და იოლსაბურთავებელი, ამიტომ არის ის უქნარა და კუდითასაყენებელი.

ქართველ კაცს დღეს მწვავედ აკლია სოციალური სამართლიანობის და პიროვნების უფლებების დამკვიდრებისათვის მებრძოლის თვისება. ნურავის ნუ შეიყვანს შეცდომაში დღევანდელობის პოლიტიკური აურზაური. მიტინგობანა და მსგავსი, ლამის ხულიგნობის ზღვარზე მყოფი ქმედებები დესტრუქციული მიმართულებისაა და გარეგამღიზიანებელზე ელემენტარულ რეაგირებას წარმოადგენს. ექსტრემალურ სიტუაციაში გაფაფხურებას ნუვინ მონათლავს „ეროვნულ ენერგიად“, თავს ნუვინ მოიტყუებს, ეს სახიფათოა.

ჩვენ ხან ირანის, ხან ოსმალეთის, ხან რუსეთის პროვინციის მკვიდრები მსოფლიო ისტორიული განვითარების პროცესს ნალოსავით კუდში მივჩანჩალებთ. ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობა ან ავტოკრატიულია, ან ქვეყნად ანარქია სუფევს. ანარქიაც და ავტოკრატიაც ექსტრემალური ანუ წრეგადასული მდგომარეობის გამოხატულებაა. ექსტრემალურის საპირისპირო ცნებაა ზომიერი. ზომიერება — აი თვისება, რომელიც გვაკლია. ექსტრემიზმი, უკიდურესობებისადმი ერთგულება — აი თვისება, რომელიც უკვე ხასიათის გარკვეულობად გვექცა. ერთი მხრივ თაყვანი (ბელადებისადმი) და იქვე აგრესია (მოყვასისადმი). ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, ქართველი ხალხის ისტორიული ბედი თუ საარაკო მოწამეობაა; გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ზოგ-ზოგები ამით ტრაბახობენ და ვერ ამჩნევენ, რომ ეს მოწამეობა ინდივიდის რელიგიური მარტვილობის ბადალი არ არის და თვითგაწამების, საზოგადოებრივი თვითგვემის გულისამრევი ფაქტია.

### ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლოზე

დანაშაულებრივი და უმეცრულია აზრი, რომელიც ქართულს და ქრისტიანულს აიგივებს, მით უმეტეს — ქართულს და მართლმადიდებლურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზვავი

წასანაურში ჩამოზვავებულმა თოვლმა საცხოვრებელი სახლი დაიტანა. დაიღუპა ხუთივე მცხოვრები.

ეს გული ისევ მოიბურა მძიმე კაეშნით...
ამ უცოდველი, უნაზესი, უფაქიზესი,
ზვავად შეკრული უთვალავი ფიფქის მიზეზით
ხუთი სასახლე მიირწევა მჭვირვალ ჰაერში.
მამულს კვლავ გული დაესისხლა მძიმე კაეშნით...

— რათ მოგვივლინე თვით ფიფქიც კი, ასე ფაფუკი,
კერათა ჩვენთა დამაქცევრად და კაცთა მკვლელად? —
გეკითხები და გამეც პასუხი,
აზრთა გამრიგევ თუ ბედისწერავ!

... ამ უცოდველი, უნაზესი უფაქიზესი,
უსათუთესი ფიფქის მიზეზით
მთელი ოჯახი — ერთი მკვიდრი კერა ქართული
ხუთ კუბოდ იქცა და წავიდა სააქაოდან,
ერთდროულად და ერთად წავიდა...

ყვავი ჩხაოდა, ნისლებს ფლეთდა ფრთათა პარტყუნით,
ქარი ბღაოდა, კლდეს საქარე ბეჭი ჰქაოდა,
სადღაც სოროში წრიალებდა ობლად წავი და
ეფინებოდა უნაზესი რხევით ფანტელი
ერთ ტახტად ქცეულ ხუთ სამარესა.

აქ, სადღაც, ცხელი ცრემლით ტირის ვაჟას სანთელი,
აქ, სადღაც, ციხე სწუხს თამარისა...
ვაი, ქართველთა ბედსა მწარესა...

10 თებერვალი, 1992.

## ელეგია

შემოდგომის მოდის წვიმა,
წვეთი ბზინავს მინანქრებად,
მივალ, მძიმე ტვირთი მიმაქვს,
გზა დაღმართში ინამქრება.

ვერ ავუბი სხივი სიმად
სულს,
        სანთელი ჩემი ქრება.
არც მომავლის იმედი მაქვს,
არც წარსულში მეცხოვრება.

ნოემბერი, 1990.

* * *

ველარ დაოკდა სისხლის წყურვილი,
სიავის კლანჭი რარიგ მოძალდა...
რა გვეშველება, ეს სიძულვილი
თუ სიყვარულმა არ გამოწალდა?!.

1992.

ქრისტიანობამდელ კულტურულ მემკვიდრეობაზე (მარტო ქართული ანბანი რად ღირს) უარს რატომ ვამბობთ?! რელიგიურის და ეროვნულის განუსხვავებლობა XX საუკუნის ადამიანისაგან სამარცხვინო პროვინციალიზმია. ჩვენი იდეური შემდულაბებელი ვერც ერთი ისტორიულად გაფორმებული რელიგიური აღმსარებლობა ვერ იქნება.

დღესდღეობით ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სამი ძირითადი იდეური მიმდინარეობა ფიგურირებს. დღევანდელი „ნათესავი ქართველთა" შესაბამისად სამმაგ ფუნდამენტალისტურ ბნელ აურაშია გახვეული: ნიჰილისტური სოციალიზმი, რომელიც ბიზანტიურ-რუსული ტიპის ფუნდამენტალიზმის ათეისტური ნეგატივი და ფსევდომორფოზაა; ბერძნულ-რუსული ორთოდოქსია და ისლამი.

ფუნდამენტალიზმის თითოეული ეს ნაირსახეობა არა მარტო ყველა სხვა იდეური მიმდინარეობის მიმართ არის შეუწყნარებელი, არამედ ერთმანეთის მიმართაც.

ქართველი ერის გამთლიანება, რასაკვირველია ვერ მოხდება მართლმადიდებლურ, ათეისტურ, ან მუსულმანურ პლატფორმაზე. თუ დღევანდელი ქართველი მოქალაქის ცნობიერებაში წინ ტოლერანტობის სულისკვეთებამ არ წამოიწია, რაც ცოცხალი რელიგიური განცდის და არა დოგმატური აღმსარებლობის ნიადაგზე სულდგმულობს, მაშინ გამთლიანება ან არასოდეს მოხდება, ან თუ მაინც მოხერხდა, ის არ იქნება მტკიცე და ორგანული. ერთიანი ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბება ჩვენი დღევანდელობის კულტუროსნული ზეამოცანაა. მარტოოდენ სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამეურნეო ცხოვრების ნიადაგზე ეს ერთიანი მენტალიტეტი საეჭვოა ჩამოყალიბდეს.

ჩვენი დოგმატური მენტალიტეტის შეცვლა აღზრდა-განათლების, კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიის და უპ. ყოვლისა რელიგიის სფეროებს ეხება. განათლების თანამედროვე სისტემა და რელიგიური რეფორმა — აი, რა არის აუცილებელი და საჩქარო. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერთგვარად უნდა გაემიჯნოს ბერძნულ-რუსულს და დასავლურ ქრისტიანობას დაუახლოვდეს. ამით ის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახეს დაიბრუნებს და თავის საუკეთესო ტრადიციებს აღიდგენს. თავის უფლებებში უნდა აღდგეს კათოლიციზმიც საქართველოში.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს სახელმწიფომ იმდენჯერ მოიბრუნა სული, რამდენჯერაც მისი საუკეთესო შვილების და მათი თანამებრძოლების ძალისხმევამ მას ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის მარწუხები შეუმსუბუქა.

გიორგი ათონელი, სულხან-საბა, მიხეილ თამარაშვილი, ილია...

ერთი — თანამემამულეთაგან გაბეზრებული — ესპანეთში ეძებდა სხვა საქართველოს;

მეორე წვერით ათრიეს სვეტიცხოვლის ტაძარში ფუნდამენტალისტმა თანამემამულეებმა — კათოლიკე რადა ხარო;

მესამე კათოლიციზმისა და საქართველოს მტრებმა მოჰკლეს;

ილიაც მოჰკლეს — მოჰკლეს ფუნდამენტალისტთა სეკულარიზირებულმა ნაშიერებმა...

ათეისტურობის ნიღაბმორგებული ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ომში იხოცებიან ჩვენი ყველაზე შეგნებული ახალგაზრდები (9 აპრილი, 21 დეკემბერი, სამაჩაბლო, აფხაზეთი...)

ფუნდამენტალიზმი იმ ზღაპრული ურჩხულის განსახიერებაა, რომელსაც წყალი უჭირავს და სოფელი საუკეთესო გოგო-ბიჭებს სწირავს მას მსხვერპლად. და ეს შავი მისტერია მანამდე გასტანს, სანამ ფუნდამენტალიზმის სამსხვერპლოზე დაკლულ მართალ კაცთა სისხლით პიროვნული თავისუფლების აუღებელი ციტადელი არ შედულაბდება.

**ავთანდილ ჯოხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბობს მის სათქმელს საქართველო

ვასილ გვეტაძე

1

უდგას ამინდი საგანგებოდ თეირანს თბილი
და დღე ჰგავს სპარსულ ყაიდაზე დახატულ სურათს.
ფეხს ვინ დაადგამს ხალიჩებით მოფენილ ბილიკს,
ზიმზიმებს ჯარი მოლოდინში და გასუსულა.

და უცებ ჰიმნი... უცებ თვალი ცრემლმა შებინდა,
ჰქუხს ჩვენი ჰიმნი რუხ მთებამდე, ხრიოკებამდე,
ღრუბელს მოჰყვება აბოლებულ მწვერვალებიდან —
იქ, სადაც ქართლის მატიანეს სისხლში ლებავდნენ.

ნუ დაუჯერებ თვალზე მომდგარ ცრემლების ციმციმს,
მაგრამ იცოდე, რომ ყველაფერს ჰყავს მისი მთქმელი:
..., ის ხალიჩაზე ფეხს რომ დგამდა, ესმოდა, ვიცი,
მძაფრი სიჩუმე მარაბდის და კრწანისის ველის.

დასანანია, ვერ თქვას ენამ თავის სათქმელი,
ვერ ვასხურებდეთ გულს საამო, ნამიან შხეფებს
მისთვის, ვინც ფიქრობს ისე, როგორც ყველა ქართველი —
გინდა უბრალო კაცი ერქვას და გინდა მეფე!

2

ბედნიერი ხარ მართლაც, თვალით რომ დაინახე
სათუთი წუთი, არა ბოლმა, მაგრამ იარა:
გაიფრიალა მკერდდაშანთულ დედოფლის სახემ
და დაწყობილ ჯარს გამოჰხედა და გაიარა.

უნდა გაასწროს, სანამ დილა პირს დაიბანდეს,
მიყვება ორი შვილიშვილი იქაც თავდებად.
... ახლა კი მართლა დაუფენდა შირაზი ვარდებს
მის ხანგრძლივ გვემას და მეორედ მის დაბადებას.

ტყე-ტყე მოდის და გამოშორდა ძველ სამოსახლოს,
უარი დროზე, ველარ ეტყვი მერე უარსაც.
— ეს შენ ხარ საბლით მოგუდულო აქ სადღაც ახლო,
მეფე ლუარსაბ?!

3

და მოთქვამს ქარი, რაკი ქარი შეარქვეს ტირილს
და ტირის აბჯრის ლაწალუწი და ხმლების ჩხვერა.
დამსკდარი კანი დატეხილი პერგამენტივით
არ ჩამოცლია იანიჩარს ტანიდან ჯერაც.

ისევ ის ველი, მოშვერილი კახეთის მხრიდან,
ალაზანზემოთ მღვრიე ღამე, ნათელი გრემი.
ისე კი, დღეს მანდ ყოფნა მარტო იმისთვის ღირდა,
ყურს უფრო მძაფრად გაეგონა ხმა ძველი ნგრევის.

4

ჰე, ქართულ ცაში ადენილო კვამლო და კუპრო,
ნასახლარებზე ჭვარტლიანი კალთების გაშლით.
გასაგებია გასაჭირში ნგრევის ხმა უფრო,
ვინ იტყვის იმას, ტყვე რომ ამბობს მწარე გმინვაში.

სად რჩებათ კვალი ღრუბლებივით სულ თითო-თითოდ
ზღვის ნაპირებზე მიმოფანტულ გულიან ბიჭებს.
ამ გაბმულ ჟრიალს მშვიდად მყოფი გაიგებს ვითომ?
ამ ანგრეულ ხმებს სიმშვიდეში ყური დაიჭერს?

ყველანაირი მელანი კი წყალს ჰგავს, სითხეა,
მიეცი ფერი და შეიძელ დამახსოვრება,
რომ სწორედ ახლა ხელმეორედ წასაკითხია
ხანძრების ბოლში დაწერილი ქართლის ცხოვრება.

5

ძველ ტკივილებთან პაექრობით ადრეც გართულან,
ღმერთმა ინება და გაფანტა შავი ღრუბლებიც,
ოღონდ შიშველი ხმლების შუქში დროშამ ქართულმა
შეიფრიალა საქართველოს თავისუფლებით.

ამ ლამაზ დღემდე გრძნობ, როგორი გზაა ნათელი?
და ლამაზ ვარდებს განა მარტო შირაზში ჰკრეფენ?
ამბობს მის სათქმელს საქართველო, ამბობს ქართველი —
გინდა უბრალო კაცი ერქვას და გინდა მეფე!

6

... ის მიუყვება ხალიჩებით მოგებულ ბილიკს
და დღე ჰგავს სპარსულ ყაიდაზე დახატულ სურათს.
უდგას ამინდი საგანგებოდ თეირანს თბილი,
ზიმზიმებს ჯარი მოლოდინში და გასუსულა.

მაშ, შესდექ, წუთო, დრო აქ აწიც აუვლ-ჩაუვლის,
შენ რჩები მარტო საიმედოდ გადახსნილ ფარდას,
სად მზზინავ მწკრივში საპატიო დგას ყარაული
და ქართულ ჰიმნით გაჰგუგუნებს ცაც ამის გარდა.

ჰო, შესდექ, წუთო, წინაპრის სულს ასე ენება,
ხელი ხმლის ტარზე მიეყინოს, გული არ დაზრეს.
ეს ისინია, თვალწინ თრთიან, არ ეჩვენება —
ტყვე ქართველები, გამწკრივული ბულიან გზაზე...

ხმა ამოიღოს ყელში მომდგარ გმინვას ნუ უშლი,
დაცალე გული, თვალში ცრემლი ერთად ჩაწურე.
„არ გათათრდეთო!..“ მომცრო მტრედი — გიაურყუში,
მხნე შეძახილით მიაცილებს ხელგაბაწრულებს.

ამ წამს, რომელიც მგლოვარ ძაძით არ იფარჩება,
კვალში გაყვნენ და გზა გაუხსნან ხვალ სხვა წამებმა,
ეს დღე ძვირფასი ქართველობას მაინც დარჩება
მოურჩენელი იარების დასაამებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიყვარულით აღსავსე ერთიანი

მოთხრობა

## თავი I

წვიმიანი ამინდი იდგა. მამა აკაკის ეჩხუბებოდა. გაბრაზებულმა აკაკიმ კარი გაიჯახუნა. დედაჩემი ისევ თავისას გაიძახოდა. „გოჩა, იმეცადინე, ბიჭო, დავიღალე, გესმის, ყველაფერი ვაკეთო ქალმაო?!“ რა მექნა, მაგიდას მივუჯექი და ქიმიის წიგნი გადავშალე. პირველი აბზაციც არ მქონდა წაკითხული, აკაკი რომ სახლში შემოვიდა და დედაჩემს დაუძახა:

— ქალო, ნათელა, გაიხედე, ვიღაც იძახის. — დედაჩემმა გარეთ გაიხედა და სიხარულისგან წამოიძახა:

— გოჩა! ნანიკო მოვიდა, ბიჭო. წადი, შეხვდი.

... სულაც არ მეხალისებოდა ახლა მათთან შეხვედრა. წადი, იმ წვიმაში დადექი და ელაპარაკე. ის კიდევ მანქანაში იჯდეს და იქიდან გელაპარაკოს. არ მიყვარს სტუმრის შეხვედრა, ძალაა კაცო?! ჰოდა, ვითომ ვერ გავიგე.

— გოჩა-მეთქი, არ გესმის?!

რა მექნა, ავდექი და დეიდას შესახვედრად გავეშურე, არ მინდოდა იმის გაკეთება, რაც ვიფიქრე — წვიმაში დგომა... და მოკლედ ვუთხარი, სახლში მობრძანდით-მეთქი. დედაჩემმა უცებ მაგიდა გააწყო და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. მე ჩემი რვეული გადავშალე და ახალი ერთიანი ჩავწერე. ყოველი ახალი მოვლენის შემდეგ, ერთიანს ვწერ, დედაჩემი მეუბნება ხოლმე, მაგ ერთიანების წერას ხეირიანი რამე მაინც ჩაწერე, არ ჯობიაო? მაგრამ მე რატომღაც ჯიუტად ერთიანებს ვწერ. რას იზამ, კაცია და გუნება!

## თავი II

მეორე დღეს ადრე ავდექი, რადგან სკოლაში წასვლას ვაპირებდი. სტუმრებს ჯერ კიდევ ეძინათ. დედაჩემმა ჩანთა ჩამილაგა, ბუტერბროდიც ჩამიდო, გემრიელად მაკოცა და ასე გამიშვა.

როგორც ყოველთვის, დამაგვიანდა. ჩემი შესვლა და კლასის დაღრანჭვა ერთი იყო, გელამ უშველებელი მუშტი დამანახა. მივხვდი, რომ ჩემი მოვალეობა კლასის გართობა და გაკვეთილის ჩაშლა იყო.

რაღაც კი მოვიფიქრე, მაგრამ იმ წუთში შოთა მასწავლებელმა განკარგულება გასცა:

— გაბრძანდით გარეთ!

— რატომ, მასწავლებელო, გარეთ? — გამიკვირდა მე.

— გარეთ-მეთქი! — ჩანთას ხელი მოვკიდე და კლასის კარი რაც ძალა და ღონე მქონდა, მოვაჯახუნე. დერეფანში დედაჩემის გამოტანებული ბუტერბროდი ამოვიღე და გემრიელად ჩავკბიჩე.

## თავი III

სახლში სამ საათზე მივედი, სად არ ვიხეტიალე. მოკლედ, დრო გავიყვანე და გვიან დავბრუნდი. სანამ კარს შევაღებდი, შოთა მასწავლებლის ხმა გავიგონე:

— არა, ქალბატონო ნათელა, ასე არ შეიძლება, ცოტა მკაცრად უნდა მოვკიდოთ ხელი გოჩას.

ახლა მელოდა დედაჩემის ქოთები, მასწავლებლის წასვლისთანავე მე სახლში შევედი, დედაჩემი შეშინებული მომვარდა და მაგრად ჩამეხუტა.

— სად იყავი, გოჩა, როგორ შეგვაშინე, შვილო, — მომეჩვენა, თითქოს დედაჩემს თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

— დედა, მაპატიე, ძალიან გთხოვ, აღარ ვიზამ, გეხვეწები, მაპატიე.

— გოჩა, უკანასკნელი იყოს, იცოდე.

ლაპარაკში ბიძაჩემი ჩაგვერია:

— გოჩა, შენ მე წაგიყვან.

— სად, ვაჟა ბიძია?

— ქალაქში წაგიყვან, ხომ წამოხვალ?!.

— არ ვიცი.

— რა არ იცი? შენ და მანანა ერთად ივლით სკოლაში. მე შენ გამოგასწორებ.

დედაჩემმაც უარი ვერ უთხრა და ჩანთის ჩალაგება დაიწყო.

## თავი IV

მეორე დღეს ყველას გამოვემშვიდობე და ქალაქს გავეშურე. საღამოს უკვე ადგილზე ვიყავი. ქალაქი რაღაც უფრო სხვანაირი მომეჩვენა, ვიდრე წარმომედგინა. უფრო კარგი აღმოჩნდა. სადარბაზოსთან მანანა დაგვხვდა, ალბათ, არ მომელოდა.

— ვა, გოჩა, შენც ჩამოხვედი? წამო სახლში, თორემ ძალიან ცივა.

სულაც არ ციოდა. არა, არა, ეს ქალაქელები ნამდვილად აფრენენ.

მე პატარა ოთახი შემირჩიეს, ერთი ლოგინი, კარადა და ტელევიზორი იდგა. პატარა, მყუდრო ოთახი იყო. უცებ კარი მანანამ შემოაღო და გაღიმებული სახით მკითხა:

— გოჩა, შეიძლება შემოვიდე?

— მოდი, მანანა, მოდი!

— რას აკეთებ?

— არაფერს. აი, ტანსაცმელს ვალაგებ.

— ხომ არ მოიწყინე?

— არა, მანანა.

— კარგი. წამო, ვივახშმოთ.

— ახლავე, გამოვიცვლი და მოვალ.

— მანანა!.. — დაიძახა ვიღაცამ.

მანანა აივანზე გავარდა, ცოტა ხანში სახლში შემოვიდა:

— გოჩა, წამო, ეზოში ჩავიდეთ.

— ახლავე, მანანა.

ეზოში ქვეყნის ბავშვები იყვნენ. მანანამ ყველა ბავშვი გამაცნო. ყველაზე ძალიან ხატია მომეწონა. პატარა, ქერა, ცისფერთვალება გოგო იყო. საღამოს ყველა დავიშალეთ. მე, მანანა და ხატია ერთად წამოვედით სახლში, ხატია მეორე სართულზე ავიდა, ჩვენ — მესამეზე. როგორც კი ბინაში დავბრუნდით, რვეულში ახალი ერთიანი ჩავწერე. მერე აივანზე გავედი. ქვედა სართულის აივანზე ხატია იჯდა და წიგნს კითხულობდა. მან ღიმილით ამომხედა და მკითხა:

— გოჩა, რას აკეთებ?

— შენ გიყურებ, ხატია.

— მანამდე რას აკეთებდი?

— რვეულში ერთიანი ჩავწერე.

— რა ქენი?

— შენ მაგას ვერ გაიგებ.

— აბა, კარგად, გოჩა.

— კარგად, ხატია.

შემდეგ სახლში შევედი და რვეულში კიდევ ახალი ერთიანი ჩავწერე.

## თავი V

დილით რატომღაც გვიან გამეღვიძა. ავდექი, ჩავიცვი და სამზარეულოში გავედი. მაგიდაზე საუზმე და წერილი დამხვდა, რომელშიც ეწერა:

„გოჩა, ჩვენ წავედით, მანანა სკოლაშია, საუზმე მაგიდაზეა. აბა, ჭკვიანად“. დეიდაჩემის ხელი ვიცანი. შემდეგ საჭმელად დავჯექი. საუზმეს როგორც კი მოვრჩი, ტელეფონმაც დარეკა.

— გისმენთ!

— მანანას თხოვეთ.

— არ გახლავთ.

— სად არის?

— სკოლაშია.

— შენ ვინა ხარ?

— მანანას დეიდაშვილი.

— ა, გოჩა, შენა ხარ?!

— ჰო, მე ვარ.

— მანანა რაღაცეებს მოგვიყვა შენზე.

— მართლა?

— კი, ნახვამდის, გოჩა.

— მოიცა, შენ ვინა ხარ?

— გოგა ვარ, გოგა მქვია.

— კარგი, გოგა, კარგად იყავი. — „სულელია ვიღაცა".

— გოჩააა... — გაისმა ამ დროს.

ვაიმე, ამას კი არ მოველოდი. ხატია მეძახის. იმავე წუთს აივანზე გავვარდი.

— როგორა ხარ, ხატია?

— კარგად, გოჩა.

— რას აკეთებ?

— არაფერს... გოჩა, ეზოში ჩამოხვალ?

— კი, ხატია.

ათ წუთში ეზოში ვიყავი, ხატიამ ხელი ხელზე მომკიდა და მითხრა:

— წამო ახლა, ბაღში დავჯდეთ.

ცოტა ხანში მე და ხატია ერთად ვისხედით და რაღაცაზე სერიოზულად ვსაუბრობდით.

— ხატია, ეს ვინ არის? — მივუთითე იმ ბიჭზე, რომელიც ჩვენსკენ მოემართებოდა.

— ეს დათოა, — ჩემი კლასელი.

— ხატია, როგორ ხარ? — ზემოდან დაგვცქეროდა დათო.

— ისე რა...

— სკოლაში რატომ არ ხარ?

— რა ვიცი, აბა.

დათომ ერთხანს კიდევ გვიყურა უხმოდ, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კარგი აბა, წავედი!

— წადი, დათო, წადი...

— როგორ აცივდა. წამო, წავიდეთ. ჩვენც ხომ არ წავსულიყავით?

— კარგი, წავიდეთ.

ხატია გამომემშვიდობა და სახლში შევიდა. მეც სახლში შევედი და რვეულში ახალი ერთიანი ჩავწერე.

ტელევიზორი ჩავრთე და ლოგინზე წამოვწექი... რომ გამომეღვიძა, ხუთის ნახევარი იყო, ყველანი სახლში იყვნენ. ბიძაჩემი ოთახში შემოვიდა და მკითხა:

— გოჩა, როგორ ხარ?

— კარგად, ცოტა დამძინებია.

— არა უშავს.

— გოჩა, მომისმინე, შენ ხვალ მანანასთან ერთად წახვალ სკოლაში, მანანას კლასში იქნები. აბა, შენ იცი, მოემზადე.

— ყველაფერი გავიგე, ვაჟა ბიძია.

— მანანა სახლშია?

— კი, მოვიდა...

ტელევიზორი გამოვრთე და მანანას ოთახში შევედი. მანანას სტუმარი ყავდა. იცით ვინ? — ხატია.

კარი გავაღე თუ არა, მანანამ ეშმაკურად შემომხედა, შემდეგ უჯრა გამოაღო და დედაჩემის წერილი გადმომცა. წერილის წაკითხვა დავამთავრე თუ არა, ბავშვებს კარტის თამაშში შევუერთდი.

## თავი VI

მეორე დღეს დეიდამ გაუთოვებული შარვალი და პერანგი დამახვედრა. მე და მანანა სკოლაში წავედით. მანანამ ყველა კლასელი გამაცნო. თვალებს არ დავუჯერე — ხატია ჩემი კლასელი აღმოჩნდა. რატომღაც არ გამიხარდა. პირველმა დღემ კარგად ჩაიარა.

სახლში მე, ხატია და მანანა ერთად დავბრუნდით, როგორც ყოველთვის, ხატია სახლში პირველი შევიდა, მერე — ჩვენ. მანანამ ისეთი კითხვა დამისვა, რასაც ნამდვილად არ მოველოდი:

— გოჩა, ვინმე ხომ არ შეგიყვარდა?

— არა, — ვთქვი და ვიგრძენი, რომ წამოვწითლდი.

— ჰო?

— რა, ჰო?

— არაფერი, უბრალოდ იმასაც მოსწონხარ.

— ?!

— იმ წუთს ყველაზე ბედნიერი მეგონა თავი. ზარი დაირეკა. კარი მე გავაღე...

— მოდი, ხატია.

— არა, გოჩა, აი, ეს ფოსტალიონმა გამომატანა, დეპეშაა.

ცოტა არ იყოს, შემეშინდა. დეპეშა გამოვართვი. — „გარდაიცვალა ლამარა ბებია".

ტახტზე დავეცი და მწარედ ავტირდი. ხატიამ ხელი თავზე დამადო და დამშვიდება დამიწყო.

მანანამ დეპეშა წაიკითხა და ტელეფონს მივარდა.

— მამა, სახლში მოდი. ლამარა ბებია მოკვდა.

ის ღამე თეთრად გავათენეთ. მეორე დღეს სოფელში წავედით. გავიდა რამდენიმე დღე. სტუმრები ისევ ჩვენთან იყვნენ.

— გოჩა, ჩვენ მივდივართ. წამოხვალ? — მკითხა მანანამ ქალაქში წასვლის წინ.

— არა, მანანა, დედას ვერ დავტოვებ.

ლაპარაკში დედაჩემი ჩაგვერია.

— წადი, გოჩა, წადი.. მე და მამაშენიც წამოვალთ. შენ რა, დაგავიწყდა, რომ იქ ბებიაშენს სახლი აქვს, ხოდა მე და მამაშენმა გადავწყვიტეთ, იქ გადმოვიდეთ საცხოვრებლად.

ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. იმ წუთში ჩალაგება დავიწყე. საღამოს ქალაქში ჩავედით, მაგრამ მე უკვე ჩემს საკუთარ სახლში ვიყავი. როგორც კი მოვეწყვეთ, ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ.

— გოჩა, მიცანი?

— გიცანი, ხატია.

— გოჩა, იცი რა?

— რა, ხატია?

— ისევ იქ შევხვდეთ, ბაღში, ადრე რომ შევხვდით, გახსოვს?..

— კარგი, ხატია. — ყურმილი დავკიდე და სავარძელში ჩავჯექი. რატომღაც თავბრუსხვევა ვიგრძენი. თვალები დავხუჭე, ის ბაღი წარმომიდგა, სადაც ცოტა ხანში ხატიას უნდა შევხვედროდი. ბაღში უამრავი ყვავილი იყო და ათასნაირი ჩიტები გალობდნენ. სკამზე ხატია იჯდა, ქერა თმები მზის სხივებს ოქროსფრად აელვარებდნენ. იგი იჯდა და თავისი ლამაზი, ცისფერი თვალებით გზისკენ იყურებოდა. ცოტა ხანს ვიყავი ასე. მერე თვალები გავახილე, ავდექი, მაგიდის უჯრა გამოვაღე და რვეულში ახალი, დიდი და სიყვარულით სავსე ერთიანი ჩავწერე...

**ნინო კვარაცხელია,**
თბილისის 130-ე სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე,
13 წლის.

# ატლანტა—თბილისის ძმადნაფიცი

(სტუმრად ამერიკელ არქიტექტორ რუფუს ჰიუსთან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქეთევან სოლომონიშვილი,**
**თამაზ გოგოლაძე.**
არქიტექტორები.

ამერიკა!!!

რამდენ რამეს იტევს ეს სიტყვა! ვინც ამ ქვეყანაში ყოფილა, ვერ ფარავს აღტაცებას. ხოლო ვინც ვერ შესძლო ამ ზღაპრული ქვეყნის ნახვა, მის წარმოდგენაში ამერიკა რჩება გაუგონარი გაქანებისა და მასშტაბების, ძლიერი და კეთილი ადამიანების, ბედის გამართლების საოცნებო სამყაროდ.

რა დაგიმალოთ და სანამ ამერიკაში გავემგზავრებოდით, ამ ქვეყანაზე ჩვენც ასეთი წარმოდგენა გვქონდა.

1991 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს ფლორიდის შტატისა და აშშ ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ მაიამში ჩავფრინდით.

საბაჟო შემოწმების შემდეგ ქალაქში გავედით და ტაქსით ავტოსადგურში მივედით, საიდანაც ღამის თორმეტ საათზე ავტობუსით ატლანტას გავემგზავრეთ. წინ დიდი, მაგრამ ძალიან საინტერესო გზა გვედო. უნდა გაგვევლო მთელი ფლორიდის შტატი და ჯორჯიის შტატის უმეტესი ნაწილი. ღამით ჩავუქროლეთ ზღაპრულ მიდამოებს, დილით კი ჩვენი პირველი შეხვედრა შედგა ამერიკულ ცათამბჯენებთან. ეს იყო ქალაქი ჯექსონვილდი. შემდეგ მთელი დღე მოვანდომეთ ფლორიდისა და ჯორჯიის შტატის გავლა-დათვალიერებას. ღამის თორმეტ საათზე ატლანტაში შევედით.

ჩვენი მასპინძლები — ბატონი რუფას ჰიუსი და მისი მეუღლე, ქალბატონი კეროლა გულთბილად შეგვხვდნენ.

სულ რაღაც ორიოდე დღეში ბევრ საოცრებათა გარდა განსაკუთრებით მოგვხვდა თვალში ამერიკელი მოქალაქეების მიერ არჩეული სწორი ცხოვრების წესი. ეს არის მართლაცდა ძლიერი ადამიანების ქვეყანა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში (მეტადრე ჯორჯიის შტატში) საქართველოდან ბევრი ადამიანია ნამყოფი. შევხვდით ბედის საძებნად წასულ ქართველებსაც. ამ შეხვედრებმა ბევრჯერ აგვაცრემლა არა მარტო იმიტომ, რომ ბევრი მათგანი სამუშაოს უქონლობის გამო გასაჭირშია ჩავარდნილი, ისინიც კი მთლად დალხინებულნი არ არიან, ვინც მუშაობს და ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობს. უჭირთ, უჭირთ უცხო გარემოში, უჭირთ სამშობლოდან შორს ყოფნა. ქართველი კაცისათვის ძნელად ასატანია ნოსტალგია. ის ვერც ბედნიერებას იტანს სხვა ქვეყნის ცის ქვეშ. ამ თემაზე საუბარს არ გავაგრძელებთ, არც ამერიკელების ხასიათზე ვილაპარაკებთ, მათ წესებზე და სტუმარ-მასპინძლობაზეც არაფერს ვიტყვით, რადგან ვთვლით, რომ ეს მაინც პროფესიონალმა ჟურნალისტებმა და მწერლებმა უნდა გააშუქონ.

ჩვენ მხოლოდ ჩვენი პროფესიით შემოვიფარგლებით და მოკლედ შევეხებით ქალაქ ატლანტას არქიტექტურას და კერძოდ, გამოჩენილი ამერიკელი არქიტექტორის რუფას ჰიუსის შემოქმედებას.

ატლანტა ფართოდ გაშლილი ქალაქია. მას ჩრდილოეთიდან ეკვრის მთები. აქ მდებარეობს სახელგანთქმული ბაზარი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველდღიურად ივსება ახალ-ახალი პროდუქტით. ინდოეთიდან ყოველ დილით თვითმფრინავით ჩამოაქვთ თევზის უამრავი სახეობა, აფრიკიდან ხილი და ა. შ. საერთოდ, როგორც სხვა ქალაქებს, ატლანტასაც აქვს ძირითადი ცენტრი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: ქვედა, შუა და ზემო ქალაქი. ცენტრი ძირითადად წარმოადგენს სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, ადმინისტრაციული შენობების და ბანკების კომპლექსს. აქ, ულტრათანამედროვე არქიტექტურას უპირისპირდება ძველი დროის შემორჩენილი რამდენიმე სასტუმრო. არჩევანი დიდია. სასტუმროების წინ ჩამწკრივებულან მბზინავი ლიმუზინები. ბრწყინავენ სავაჭროთა ვიტრინები, მდიდრული რესტორნები...

ატლანტა სტრუქტურულად სწორად განვითარებული ქალაქია. გარდა ძირითადი ცენტრისა, მას აქვს კიდევ რამდენიმე ცენტრი. განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავია პერიფერიულ რაიონში უშუალოდ ტყეში ჩაფლული ბრწყინვალე არქიტექტურული ნაგებობების ნახვა. ეს შენობები არაფრით არ არღვევენ ბუნების ჰარმონიას, პირიქით, უშუალოდ ერწყმიან მას და ადამიანის მაღალ გემოვნებაზე, მის გონიერებაზე და დაუშრეტელ შესაძლებლობებზე მეტყველებენ. ბრწყინვალე ქუჩები, გზები და ბილიკები, რეკლამები, განათება, ადამიანთა მოღიმარი სახეები, გულთბილი მასპინძლობა — ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია ამ ქალაქის დახასიათება.

რუფას ჰიუსი, როგორც ვთქვით, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი გამოჩენილი არქიტექტორია, ატლანტის წამყვანი ხუროთმოძღვარი. ამავე დროს, იგი ჯორჯიის შტატის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული კოლეჯის დეკანია.

რუფას ჰიუსი წარმოშობით მისისიპის შტატიდანაა. მისი პირველი განხორციელებული პროექტი მისივე საკუთარი საცხოვრებელი სახლია. ეს პროექტი მას 27 წლისას შეუსრულებია. სახლი წარმოადგენს ორსართულიან ვილას, ხითა და აგურით აგებულს. თეთრი ინტერიერი შიდა კიბითა და ანტრესოლით საცხოვრებლად საოცრად მოხერხებულია. ტერასიან ეზოში დადგმული ეს ბრწყინვალე ექსტერიერის შენობა კარგად ერწყმის იმ ტყეს, სადაც ჩადგმულია იგი. სახლს აქვს დიდი, გახსნილი ვიტრინები, საიდანაც ტყის მშვენიერი ხედები მოჩანს. ვილა ბუნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რაც არქიტექტორის დიდ გემოვნებაზე მეტყველებს.

ჰიუსის პირველ განხორციელებულ პროექტს მალე მოჰყვა კერძო დაკვეთები. მის მიერ დაპროექტებული ვილები ქალაქის პრესტიჟულ რაიონებში მდებარეობენ. ყველა მათგანს ახასიათებს სისადავე, დახვეწილობა, საოცარი კავშირი ბუნებასთან.

ჯორჯიის შტატის გარდა რუფას მრავალი ობიექტი დაუპროექტებია სხვა შტატებშიც. განსაკუთრებით გამოირჩევა ფლორიდის შტატში აგებული შენობები. ჰიუსის პროექტების დიდი ნაწილი ხორცშესხმულია ქალაქ ატლანტის ჩრდილო მხარეში. აქ უმეტესად თავმოყრილია ადმინისტრაციული ობიექტები.

ნაგებობების დათვალიერებისას პირადად ბატონი რუფას ჰიუსი დაგვყვებოდა. ერთ-ერთი ობიექტის დათვალიერებისას კურიოზიც შეგვემთხვა. არქიტექტორს, ე. ი. ჩვენს მასპინძელს, არ დართეს ნება ჩვენთვის ეჩვენებინა შენობის ძირითადი ინტერიერები. თურმე აქ მიმდინარე სამუშაოები გასაიდუმლოებული ყოფილა. სპეციალური საშვის მიღების შემდეგ მხოლოდ სასადილო, დასასვენებელი და გასართობი ოთახები დაგვათვალიერებინეს. ამის გამო მასპინძელმა ცოტა უხერხულობა იგრძნო და ბოდიშიც კი მოგვიხადა, თან დასძინა, ასეთი რამ ამერიკაშიც ხდებაო. გაგვეცინა და ვუპასუხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩვენშიც ასე ხდება. გავიხსენეთ ის დღე, როდესაც საქართველოში ჩვენივე დაპროექტებულ შენობაში არ შეგვიშვეს.

ატლანტაში რუფას ჰიუსის მიერ დაპროექტებულ ნაგებობებს ბევრი რამ აქვთ საერთო. თითოეული მათგანი უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი — კომპიუტერები, მდიდარი ბიბლიოთეკები, დასასვენებელი ოთახები, სასადილოები. აღარაფერს ვამბობთ კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებზე. ერთი სიტყვით, აქ ადამიანი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. შენობების ინტერიერებში არქიტექტორს გაუთვალისწინებია ყველაფერი — სანათურების, ჭერის, იატაკის, ავეჯის დიზაინი. ყველა ნივთი და კუთხე არაჩვეულებრივად დახვეწილია და ადამიანისათვის მოსახერხებელი. ინტერიერში ფართოდ არის გამოყენებული ღია ვარდისფერი, ცისფერი, იასამნისფერი, სალათისფერი ტონები. ფერთა სხვადასხვაობა არაჩვეულებრივ ჰარმონიას ქმნის. მეტად საინტერესოა ჭერისა და იატაკის კომპოზიციები. საერთოდ კი, ყველაფერი სადაა და მიმზიდველი. მშენებლობის უმაღლეს ხარისხზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია — ეს მთელი ამერიკისთვისაა დამახასიათებელი. სამშენებლო მოედანი განსაცვიფრებლად კომპაქტურია. სამშენებლო მასალა შეფუთული მოაქვთ მშენებლობაზე. ქალაქის ცენტრში ბილდინგს ისე აშენებენ, რომ ამას სამშენებლო მოედნის გარეთ ვერც ვერავინ გრძნობს და არც არავინ წუხდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუფას ჰიუსი ატლანტაში ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული კოლეჯის დეკანია. მის ფანტაზიას ეკუთვნის ამავე სასწავლო დაწესებულების უზარმაზარი სპორტული კომპლექსი, რომელსაც ქალაქის ცენტრალური რაიონის დიდი ნაწილი უჭირავს. აქ თავმოყრილია სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები და მრავალი სხვა გამაჯანსაღებელი ობიექტი. ჩვენი მასპინძლის წყალობით დაწვრილებით გავეცანით ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის სწავლების მეთოდს, გადავხედეთ პროგრამებს, ვნახეთ სტუდენტები სწავლისა და მუშაობის პროცესში, დავესწარით რამდენიმე საინტერესო ლექციას.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით სასწავლო პროგრამამ მიიქცია. სტუდენტები პირველივე კურსიდან თითქმის მთლიანად სპეციალობის მიხედვით ეუფლებიან საგნებს. ჩვენში კი ამას ნაკლები ყურადღება ექცევა. კოლეჯს გააჩნია კომპიუტერები, რომლებზეც აუცილებლად უნდა იმუშაოს სტუდენტმა. კოლეჯს აქვს სახელოვნო და შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტისათვის ადვილად ხელმისაწვდომია მსოფლიო არქიტექტურის უახლესი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ასეთ ფუფუნებას მოკლებული ვართ, არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ ითქვას ჩვენი და ამერიკელი სტუდენტების ნამუშევართა მსგავსების შესახებ. უფრო მეტიც, ჩვენი არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტები არაფრით ჩამოუვარდებიან ამერიკელებს თავიანთი ფანტაზიით, მუშაობის მანერით, ხელწერით. შემთხვევითი არ არის და ჩვენი ახალგაზრდების ნიჭიერებაზე მეტყველებს მათი მუდმივი წარმატებანი საერთაშორისო კონკურსებზე.

რუფას ჰიუსი ტექნიკურ უნივერსიტეტში მრავალი წელია მუშაობს. უნივერსიტეტის ცხოვრებაში იგი დიდ როლს თამაშობს. სტუდენტებთან მკაცრია, მაგრამ უკიდურესად სამართლიანი.

რუფას ჰიუსის შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია ატლანტის ცენტრში მდებარე კათოლიკური ეკლესია. შენობა მთლიანად აგურისაა, თეთრი სვეტები და მახვილი კუთხეები მეტად საინტერესოს ხდის მის ფასადს. ატლანტაში მრავალი თანამედროვე, ფორმით ერთმანეთისაგან განსხვავებული კათოლიკური ეკლესიაა. ასეთი სიმრავლის მიუხედავად, ატლანტელებს მაინც რუფასისეული ეკლესია იზიდავს ყველაზე მეტად, რაც განპირობებულია მისი ჰუმანური ხასიათით.

ქალაქის ცენტრშივე მდებარეობს აგრეთვე უცხოელი სტუდენტებისათვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი. ეს არის მცირე მასშტაბის კომპაქტური ნაგებობა, სადაც არქიტექტორს ყველა წვრილმანი გაუთვალისწინებია, რათა შექმნილიყო ისეთი გარემო, სტუდენტს თავი მშობლიურ კუთხეში ეგრძნო. სახლს აკრავს დიდი აივნები, საიდანაც ატლანტის დიდებული პანორამა იშლება, ასევე აქვს მოსახერხებელი სამზარეული, სადაც ყოველ უცხოელ სტუდენტს შეუძლია დაიმზადოს თავისი საყვარელი ეროვნული კერძი. საცხოვრებელს გააჩნია მდიდარი ბიბლიოთეკა, გასართობი და დასასვენებელი ოთახები. შენობა მაღალ, გაშლილ ადგილზე მდებარეობს, ამიტომ ცისფერ და თეთრ ფერებში შესრულებული მისი ექსტერიერი თვალწარმტაცია ცის ფონზე.

HEWLETT PACKARP — სამრეწველო შენობაა. იგი გამოირჩევა ჰიუსისეულ სხვა პროექტებისაგან. თუ არქიტექტურის უმეტეს ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ნაზი ფერები, შერწყმა ბუნებასთან, — H. P. სრულად განსხვავებულია და არა შემთხვევით. შენობის ხასიათს განაპირობებს მისი დანიშნულება, მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები და ადგილმდებარეობაც. ეს ნაგებობა სამრეწველო შენობების კომპლექსშია მოქცეული. კომპლექსის თითოეული შენობა განსხვავებულია, როგორც მათში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებით, ისე ექსტერიერებით.

H. P.-ის არქიტექტორი არ ცდილობს, რომ მისი შენობა დომინატი იყოს კომპლექსში, თუმცა, შენობის კომპოზიცია, მისი მკვეთრი ფერები, მთლიანი არქიტექტურული გადაწყვეტა, მნახველის უშუალო ყურადღებას იქცევს. შენობა მოპირკეთებულია ალუმინით, აქვს რუხი ფერის ფანჯრები, ფასადის ელემენტები შეღებილია წითელი და ლურჯი ფერებით. ფანჯრების ნაირსახეობა ფასადს საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. შენობის ეზოში, მიწის ქვეშ, მდებარეობს მანქანების სამსართულიანი სადგომი მომსახურე პერსონალისათვის.

რუფას ჰიუსის ყოველი არქიტექტურული ობიექტის ცალ-ცალკე დახასიათება საჟურნალო სტატიაში შეუძლებელია. ეს ფართო კვლევის და შესწავლის საგანია. უბრალოდ, ჩვენ შევეცადეთ ძალზე მოკლედ მოგვეთხრო იმ ობიექტებზე, რომლებიც საკუთარი თვალით ვიხილეთ.

რუფას ჰიუსის არქიტექტურა გამორჩეულად კონტექსტუა ლ უ რ ი ა, ადამიანურია, ყოველთვის ბრწყინვალედ არის ჩაწერილი გარემოში, არ არღვევს ბუნების ჰარმონიას. ისინი მეტად მასშტაბურნი არიან. მისი შენობის უმეტესობა მწვანე გარემოშია. არქიტექტორს უყვარს ფასადის დანაწევრება ფანჯრების ისეთი რიტმით, რაც კედელს გასაოცარ სიმსუბუქეს ანიჭებს. არქიტექტორისათვის საყვარელი თეთრი სვეტები ბუნებრივი ხის ზომისაა, ხოლო ხისა და აგურის მასალა ტყის განუყოფელობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ვფიქრობთ, ამ მოკლე მონათხრობით ქართველ საზოგადოებას და კერძოდ, ქართველ სპეციალისტებს გარკვეული წარმოდგენა მაინც შეექმნებათ ამერიკის ერთ-ერთი სახელოვან არქიტექტორზე. ჩვენ ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რომ ასე დავუმეგობრდით ატლანტის წამყვან ხუროთმოძღვარს რუფას ჰიუსს და შესაძლებლობა მოგვეცა ცოტა რამ მაინც გვეთქვა მის მდიდარ შემოქმედებაზე.



























# დეა ჯაბუა

ილუსტრაციები წიგნიდან
„რობინ ჰუდი“ და „ათას ერთი ღამე“.







ეროვნული ბიბლიოთეკა





დებიუტი

## დავით მხეიძე (მოქანდაკე)



# წასულების შესანდობარი



თამაზ ბიბილური

ამოდით აჩრდილებო თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მიამბეთ ყველაფერი...
...ვიცი, აღარა ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ ჩემი გულიდან, ისევ მეცნაურებით!
ყველანი მახსოვხართ.
მე ხომ თქვენით გავეცანი ცხოვრების სიტკბოსა თუ სიმწარეს.

გიორგი ლეონიძე — „ნატვრის ხე“.

სიკვდილს პირველად დიდედაჩემის გარდაცვალებისას შევხვდი. დეკემბერი იყო, მაგრამ საოცრად მზიანი და თბილი. დიდედას გარდაცვალების ამბავს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, რადგან ეს გარდაუვალი იყო. ოთხმოცი წელი იცოცხლა, უყვარდა მთელ ოჯახს, ჰქონდა ბაღჩა-ბაღი, ვენახი და დღე ისე არ გაივლიდა, ერთი ჩაის ჭიქა ღვინო მაინც არ დაელია სადილად. თანაც რამდენიმე დღის წინ სოფელში ჩასულს (დიდედა სიკვდილამდე მხოლოდ ერთი კვირა იწვა ლოგინში) დამემშვიდობა, მაკოცა, ბედნიერება მისურვა და როცა ვშორდებოდით, ულონო ხელი დამიქნია.

არც ჩვენი სათნო დიდედა იყო ჩვეულებრივი ქალი. თავისი სიკერპე ჰქონდა. უყვარდა ლიტერატურა. ხმამაღლა უკითხავდა მეზობლებს ვასილ ბარნოვს, კარგად იცოდა სახარება (მეორე, ქართლელმა დიდედამ, ჯავახეთელმა ანეტა ჯვარიძემ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ იცოდა ზეპირად).

როცა დიდედამ ჩემი პირველი მოთხრობა დაბეჭდილი წაიკითხა, გაზეთი გულგრილად გადადო და ჩაილაპარაკა: ამისთვის ჩაითხარა თვალები 15 წელიწადი?

მერე იფიცებოდა, მაგრამ არ მითქვამსო.

და აი, დიდედა აღარ გვყავს.

ავედი სოფელში. შევედი ეზოში და ერთბაშად თითქოს ყველაფრისაგან გამოვეთიშე. რატომ დამიბარეს? რატომ დგანან ჩვენს აივანზე მეზობლის ქალები, დიდედა ხომ იქვეა, აგერ, აივნის მოაჯირს დაყრდნობილი.

მაგრამ ეს ყოველივე წამში მოხდა.

შევედი და დარბაზში დავინახე გულზე ხელებდაკრეფილი ცვილისფერი დიდედა.

ტირილი მომერია.

მეზობლები შემომეხვივნენ და ოთახიდან გამოდით, მეჩურჩულებოდნენ.

რატომ ერევიან ამ დროს ადამიანები სხვის საქმეში?

რა დამაკლდება დიდედასთან ყოფნით და თუნდაც ცხარე ცრემლებით?

ხო, დიდედას ცხედარი ახლა დარბაზშია დასვენებული. მე დრო და დრო ჩუმად შევდივარ დიდედასთან და თავთან ვუჯდები.

მკვდრისა აღარ მეშინია. მანამდე კი მკვდრის დანახვისას მთელი რამდენიმე დღე ვეღარ ვიძინებდი. შიშის ზარს მცემდა საბჭოდან მოტანილი წითელი დროშა, რომლითაც მიცვალებულს საიქიოსკენ მიუძღვოდნენ, სასაფლაოზე ვერ გავივლიდი, ახლა კი რა უბრალო ყოფილა სიკვდილი, რა ჩვეულებრივი და რა მარტივი...

ხვალ მოიტანენ იმ ჯოჯოხეთურ დროშას, დაუკრავს „დუხოი მუზიკა“ (ასე ეძახდნენ სოფელში სასულე ორკესტრს, რომელიც მთელ გზაზე წითელ დროშასთან ერთად მიაცილებდა მიცვალებულს) და ყველაფერი დასრულდება.

არა, რაღაც უნდა შევცვალოთ. ფორტეპიანო დიდედას თავთან სდუმს. მეორე დღეს მოვყვავს მევიოლინეც და დიდედას ცხედართან ის მელოდიები ჟღერს, რაც მერე მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გამყვეს.

* * *

დიდედა ადრე დაქვრივებულა. ლამაზი ქალი ყოფილა და გადამკიდებია ხელმწიფის სამსახურში ჩამდგარი ახოვანი ქისტი ვაჟკაცი, არდაგან დასკიევი. ქისტმა თურმე საყველპურო ქართულიც იცოდა (რომელმა მთიელმა არ იცოდა მაშინ ქართული) და შემოუთვლია, უარი მაინც არ გაუვა, მოვიტაცებო. „სხვა რა გზა მქონდაო“, — თავს იმართლებდა მერე დიდედა, „იმ ქისტს გავყევიო“. ქისტმა დიდხანს არ იცოცხლა, მიიცვალა და სოფლის ძველ სასაფლაოზე დამარხეს.

კეთილი ქისტის ყველაზე დიდი სიხარული ის ყოფილა, როცა დედაჩემს (დედაჩემი ქისტს 2-3 წლისა დახვდა) მუხლებზე დაისვამდა და უალერსებდა. დედა კასრელიშვილი იყო, სოფელ ვაჩნაძიანში ცხოვრობდა. კასრელიშვილები ოდესღაც კარსანიდან (მცხეთა) წამოსულან კახეთში. ბევრნი არ არიან, ერთი უბანი უჭირავთ, ორიოდე კომლი სხვაგანაც ცხოვრობს.

გავიდა წლები. დეიდაჩემი ელენე გაიზარდა და სამასწავლებლო ტექნიკუმში შევიდა. ჯგუფში აღმოჩნდაო — ამას უკვე დეიდა მყვება, — ვიღაც გოგონა, რომელიც გაიძახოდა — „ქისტი ვარო“ (პანკისელი ქისტი ყოფილა) და მთელ ჯგუფს თავში მოექცაო. შევწუხდით და ერთ დღეს შევბედე, — რა დაგემართა, გოგო, მეც ქისტი ვარ, მაგრამ არ გავყვირით.

გოგომ ყური ცქვიტა.

დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და ბოლოს თქვა: — მამაჩემის სოფელში ცხოვრობს ორი ძმა. მთელ სოფელს მოკვეთილი ჰყავს ისინი, რადგან და ჰყოლიათ და არ იციან სად არის. ან უნდა ცოცხალი იპოვონ, ან მკვდარი, — ასეთია ქისტების ადათიო. — შენ ნამდვილად იმათი და ხარო.

დეიდაჩემმა ამ ნათქვამისათვის ყურადღება არც მიუქცევია.

გავიდა ხანი. დედაჩემი გათხოვდა — ქართლელ ზიზილაურს გაჰყვა და როგორც წესი მოითხოვს, მამაჩემმა თავისი მეუღლე მშობლებთან წაიყვანა. დიდი პატივით მიიღეს პაპამ და ბებომ, ლადო ზიზილაურმა (ყრუ დიაკვანმა) და ანეტა ჯვარიძემ, ჯავახეთელმა ქალმა.

ამ დროს კახეთში დიდედაჩემის სახლს მიადგა ორი ტანადი, მოხევადიხული ქამარხანჯლით დამშვენებული თავმომწონე ქისტი ჭაბუკი და ის გოგო, რომელმაც ტექნიკუმის ერთი ჯგუფი მთლიანად დაიპყრო და დიდედაჩემს სთხოვეს, თქვენი ქალი ელენე გვაჩვენეთო. დიდედაჩემმა უთხრა, რომ ელენე ქართლშია წასული, თავისი დის მეუღლის ოჯახში. ქისტმა ჭაბუკებმა არ დაიჯერეს, მაგრამ დიდედაჩემი გულქართლი ქალი იყო, შინ შეიპატიჟა, გაუმასპინძლდა და დააჯერა.

ქისტმა ჭაბუკებმა ცოტა წაიხემსეს, სახელს არ გაეკარნენ და თავიანთ ქისტ დაქალთან ერთად ქართლისკენ გასწიეს.

მიადგნენ ლადო ზიზილაურის სახლს.

ერთი ეზოში შევიდა, მეორე ჭიშკართან დარჩა დაბღვერილი.

გამოვიდა დეიდაჩემი. ქისტი რუსულად გამოელაპარაკა და ძმას ანიშნა, ვიპოვეო. ძმა ჭიშკართან იდგა და სახეზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ძმებმა და იპოვეს. შევიდნენ შინ. ძმების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დეიდაჩემი დაბნეული შესცქეროდა უცნობ ქისტ ძმებს. და დადგა წუთი, როცა ჭაბუკმა ქისტებმა განაცხადეს, ჩვენი და ქისტეთში უნდა წავიყვანოთ, სოფელს ვაჩვენოთ და სოფელი შევურიგოთო.

დიდი ყოყმანის შემდეგ ისევ დეიდაჩემმა გადაწყვიტა წასულიყო, დაამშვიდა ყველა, და ქისტეთისაკენ გასწიეს.

როგორ ვწუხვარ, რომ იმ სოფლის სახელი ვერ ჩავიწერე, ეს ან ჩეჩნეთში იყო, ან ინგუშეთში.

აულში ზეიმურად შეხვდნენ. მოდიოდა მრავალრიცხოვანი საჩუქრები, ვერცხლის ჭედურობა, ძვირფასი ქვები, ბოლოს დადგა წუთი, როცა დეიდაჩემს განუცხადეს, თუ აულში დარჩებოდა, მოუყვანდნენ ყველაზე ლამაზ და ღირსეულ ქისტ ჭაბუკს, რომელსაც ცოლად გაჰყვებოდა.

ზღაპარი ლამაზი იყო, მაგრამ ცხადია, დეიდაჩემს ეს არ შეეძლო. ის ზღაპარი მაინც ახალი იყო, დეიდაჩემს კი კახეთში ელოდა ძველისძველი მშობლიური ზღაპარი, დედა, და, დისწული, დედის გვარი, რომლითაც ცხოვრობდა.

ქისტებს, ცხადია, გული დაწყდათ, მაგრამ არ შეიმჩნიეს. დეიდაჩემი ღირსეულად გამოაცილეს, და ძმებმა თავისი და მოჰგვარეს დიდედაჩემს.

ამგვარად დასრულდა ეს ისტორია.

მერე ომიც დაიწყო. ომის დროს, მოგეხსენებათ, ბელადმა, ქისტები, ჰიტლერი ჩემზე მეტად მოგწონთო, შუა აზიის ტრამალებში გადაასახლა.

ერთ დღეს ჩემი დეიდაშვილი ძაუგში, ინგუშეთის ქუჩაზე იმ სახლს მიადგა, სადაც დეიდაჩემის თქმით, ომის წინ მისი ძმები ცხოვრობდნენ.

ეზოდან ვიღაც რუსის ქალი გამოვარდა და თითქოს დიდი ხანია ამ მომხვდურს ელოდაო, ჩემს დეიდაშვილს შეუტია. აქ დასკიევებს არასოდეს უცხოვრიათ, აქაურობა ჩვენია და მეორედ მოსული არ დაგინახოთო.

დეიდაჩემი კერპი ქალი იყო, თანაც მოსიყვარულე, როცა შინ გვეწვეოდა, საკმარისი იყო წუთით გავსულიყავი ცალკე, ჩემს ოთახში, რომ მაშინვე გაბრაზდებოდა და ვითომც ჩაცმას იწყებდა, შინ მივდივარო. მოვეფერებოდი (მასთან 17 წელი ვიცხოვრე), გაეცინებოდა და გადაუვლიდა. ეს სიცილი საკმარისი იყო, რომ მეთქვა: ნამდვილი ქისტი ხარ-მეთქი... დიახაც ვარო, რას მქვია მე მოვიდე და შენ ოთახში ჩაიკეტოო. ხომ იცი, მწერალი ვარ-მეთქი. მწერლად მე გამოგზარდეო — ახლა იმას იტყოდა...

ასე სიტკბოში მიდიოდა წლები.

დეიდაჩემის ქმარი გურული იყო, გიგინეიშვილი გიორგი. კახეთში მუშაობდა მასწავლებლად (საერთოდ მამაჩემის გარდა ჩვენსა სულ მასწავლებლები იყვნენ) და იქ გაეცნო დეიდაჩემი. ამგვარი უეშმაკო და გულუბრყვილო გურული არსად მინახავს. ხელფასს რომ აიღებდა, დეიდაჩემი აფრთხილებდა, ჯიბეში კარგად შეინახე, ტრამვაიში არ ამოგაცალონო. აბა, ნაძალადევში როგორ მაკადრებენ მაგასო, მთელი ჯიბგირები ჩემი ნამოწაფრები არიანო. ეტყობა ეს ნამოწაფრები იყვნენ, ხელფასის დღეს რომ აედევნებოდნენ და ტრამვაის ჯგლეთაში ჯიბეს ამოუფხრეკდნენ.

უნდა გენახათ, ნარდის თამაშს რომ იწყებდნენ ოთხნი — მამაჩემი, ბიძაჩემი, დედაჩემი და დეიდაჩემი... იყო სიამტკბილობა და სიყვარული. ღრუბლების წამოსვლას კი მხოლოდ მაშინ მივხვდებოდი, როცა ბიძაჩემი იტყოდა: „ამხანაგო ხაშა...“ (ხაშა მამაჩემი იყო). ხაშა, რა თქმა უნდა, დაუთმობ[illegible] კვლავ გრძელდებოდა ნევდიანი ბედნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ომის გაჭირვება ერთად გამოვიარეთ.

როგორც გითხარით, მასთან 17 წელიწადი ვიცხოვრე. ზაფხულს კახეთში ვატარებდით, ზამთარს — თბილისში. ყოველ ახალწლის ღამეს მატარებლით კახეთში მივდიოდი, ახალწლის დილას შინ ვიყავი, გათოშილი, შეცივებული, მაგრამ ბედნიერი.

ოთახში ერთხელ ბიძაჩემი ჩემს ნაჩმარ ფეხსაცმელებს წაიღებდა, დააკერინებდა, გაალამაზებდა და ყველას აჩვენებდა, აი, თამაზმა მაჩუქა, სულ ახალიაო.

ერთხელ ავად იყო და პირველად ჩემს სიცოცხლეში ხელდამშვენებული გამოვეცხადე: ნესვი, საზამთრო, ატმები... უნდა გენახათ ბედნიერი ბიძაჩემი, ყველას უჩვენებდა, თამაზმა ხილი მომიტანაო.

ნო, პირველად ბიძაჩემი წავიდა.

მერე დეიდას უკურნებელი სენი შეეყარა და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დამიძახა, ჩემი ძმების ამბავი მინდა გიამბოო. მიამბო ის, რაც თქვენ უკვე გითხარით, ბოლოს დასძინა, შეიძლება ცოცხლებიც არიან, ერთს ჰქვია ბათილბეგი, მეორეს ალუმბეგი. ბიძაშვილიც ჰყავდათ — უაზბეგ დასკიევი. ძაუგში, ინგუშეთის ქუჩაზე, მე-18 ნომერში მოიკითხე, იქით ხშირად დადიხარო.

საოცარი ძალა აქვს წინაპართა ძახილს.

და, ახლა, დეიდაჩემი კვდება.

— აი, შენი თამაზი მოვიდა, ამას მაინც უთხარი რამე, — ჩასძახის ჩემი დეიდაშვილი.

— რა ვუთხრა? ვკვდები-მეთქი?

ასე წავიდა დეიდაჩემი.

* * *

მინდა ორიოდე სიტყვა დედაჩემზე გითხრათ: მანაც 80 წელი იცოცხლა, სიკვდილამდე, ბებიაჩემისა არ იყოს, მხოლოდ რამდენიმე დღე ჩაწვა ლოგინში.

მანამდე მთელი ხუთი წელი გაწამდა. მამაჩემი 42 წლისა იყო ომიდან ხეიბარი რომ დაბრუნდა. ერთი ფეხი ძირში ქონდა მოჭრილი, ერთი ხელი — მოყინული.

მახსოვს მისი ჩამოსვლა 1942 წელს. მახარობელი მოვარდა. ერთი ქალი გზაზე მორბოდა, მეორე — პატარა გოგო ხევ-ხევ წამოსულიყო. პატარამ მოასწრო და დაიძახა, მამაშენი ჩამოვიდა, სადგურში ზისო. ის იყო დიდი ქალიც გამოჩნდა და შორიდანვე გასძახა გოგოს, აი, შე ძაღლის ლეკვო, დამასწარიო?!

გავიქეცით სადგურზე.

ვიცოდით, რომ მამას თავს რაღაც იყო, წერილებში გვატყობინებდა, იცოდეთ, მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, თუ მომწერთ, სულ აღარ ჩამოვალო. ადრე კარგი გორელი გამრტყმელი ყოფილა. სტუდქალაქში კი თურმე „მანარნიას“ ეძახდნენ — ანუ მონარქს. უყვარდა თეატრი, აწყობდა, გორში, ჭაბუკობისას, ლიზა ჩერქეზიშვილთან ერთად მოთამაშია სცენაზე.

და აი, მამა ჩამოსულა.

მე გავიქეცი და ყელზე შევახტი.

მამა დაბარბაცდა. ხელი შეაშველეს.

მარცხენა ფეხი აღარ ქონდა,



დიდედაჩემი ჭიშკარს ამოფარებოდა და ტიროდა.

მაინც აშენებდა ვენახებს, ცხენით დადიოდა სოფლიდან სოფელში. მაგრამ ნერვები დაძენძილი ჰქონდა.

ძალზე უყვარდათ ერთმანეთი.

სამსახურიდან რომ მოვიდოდა, დედაჩემი კარებიდანვე იკითხავდა, ხაშა არ მოხულაო? დიდედაჩემი შეუტევდა: აბა ერთხელ თამაზი იკითხე, სულ რომ ხაშა გაკერია პირზეო.

მე ვშლოდი, რომ მამაჩემის იმქვეყნად წასვლა ტრაგედიად გადაიქცეოდა. საშინლად სწყუროდა სიცოცხლე. ეგონა, რომ მისი წასვლის შემდეგ მე შიმშილით მოვკვდებოდი, და ერთხელ მკითხა, რას იზამ, მე რომ აღარ ვიქნებიო (120 მანეთი პენსია ჰქონდა). მე ვუთხარი, რომ ცხოვრებისა არ მეშინოდა, ახლა კი დამშვიდებული წავალო, მითხრა.

სიკვდილის წინ მითხრა, ერთ რამეზე მწყდება გული, შენი პიესის თეატრში ნახვას რომ ვერ მოვესწარიო.

გული მეტკინა.

რა ვქნა, ეს ჩვენი თეატრების სინდისზე იყოს.

თეატრის დანიშნულება ხომ ისიცაა, ერთ კაცს მაინც მიანიჭოს ბედნიერება.

ვცხოვრობდით ერთოთახიან ბინაში, საბურთალოზე, მაგრამ ეს იყო სამოცარი ერთი ოთახი. იქ ეწყო მთელი ავეჯი, იქ ვსადილობდით, ვისვენებდით, ვმართავდით წვეულებებს და მეგობრებს ლამისაც კი ვათევინებდით.

კახეთში სახლი გავყიდეთ. მიზეზი სრულიად „უბრალო" იყო, ვიღაცამ მოსწერა მამაჩემს, ამა და ამ ადგილას ფული დადე (დიდი მდიდრები ვეგონეთ), თორემ თამაზს მოგიკლავთო. წამიკითხა ეს წერილი. მე გამეცინა და წერილი დავხიე. მამაჩემი გაოცდა, იქნებ ამ წერილით ეპოვათ დამწერიო? არ არის საჭირო-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ იმ სოფელში ცხოვრებაც არა ღირს, სადაც ჩემი მოკვლა შეუძლიათ-მეთქი. არ ვიყავი მშიშარა. ეს გრძნობა არც დღეს მაქვს, მაგრამ ერთბაშად შემეზიზღა ყველაფერი. მეორე დღესვე გახარებულმა მამაჩემმა გაყიდა სახლ-კარი და ჩვენს ერთოთახიან ბინას შევეხიზნეთ საბურთალოზე.

ერთი გარეწარის გულისთვის ჩემს საყვარელ ქაჩნაძიანს რას ვემდუროდი, მაგრამ სხვა გრძნობა იმ წუთში არ გამიჩნდა.

წლების მანძილზე იქით აღარ გამივლია.

თელავში (ჩემი უსაყვარლესი ქალაქია) გომბორის გზით მივდიოდი ხოლმე.

ერთმა ჩვენმა „კეთილისმყოფელმა" დამცინა, ხომ არ გეშინია ჩამოსვლაო? თავზარი დამეცა. წავედი თელავში და მანქანით ჩემს სოფელში ჩამოვიარე.

იქაურობა ვეღარ ვიცანი.

ნუთუ ეს ჩვენი სახლ-კარია?

თვალებს არ დავუჯერე. იქვე, კაკლის ძირში მჯდარ 14-15 წლის გოგო-ბიჭებს ვკითხე, თუ იცით ამ სახლში ვინა ცხოვრობდნენ-მეთქი. გაუკვირდათ, ვინც ახლა ცხოვრობსო.

თავზარი დამეცა.

მერე გამოვარდა ძალუაჩემი.

მერე შემომეჯარნენ ძველი მეზობლები.

მიპატიჟება...

არა, არ შემიძლია!

ძალუაჩემი გარბის, ცხელ-ცხელი შოთები მოაქვს და მანქანაში მაწვდის.

* * *

მე მეშინოდა მამაჩემის სიკვდილისა.

ერთხელ, საშინლად გადაღლილმა დედაჩემმა შეუძახა, ნეტავი ერთი წელი მაინც მაცოცხლოს ღმერთმა უშენოდო.

და აი, მამა ისე ჩუმად გაიპარა ძილში, ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო.

საშინელი დღე იყო. რვა მაისს დავმარხეთ, როცა სასაფლაოდან დავბრუნდი და საწოლზე წავემხე, გავიფიქრე, თუ ასე გაგრძელდა, ერთ კვირასაც ვეღარ ვიცოცხლებ-მეთქი.

საბედნიეროდ, დრო სწორედ რომ ყველაფრის მკურნალია.

გავიდა ორიოდე წელი და დედაჩემს სენი შეეპარა, როცა გავაშუქეთ, ჩემი დეიდაშვილი ნანა შეჰყვა. მე კართან ვიდექი, „არაფერია, ყველაფერი კარგად არისო", — მითხრა ნანამ და დედაჩემიც გახარებული გამოვიდა.

მაგრამ სახე არ მომეწონა ნანასი.

არ მომეწონა თვალები, რომელშიც ცრემლი იგულისხმებოდა.

და აი, დედა ჩაწვა.

როგორ შეიძლება დედაჩემის სიკვდილი? მაშინ რაღა აზრი ექნება ცხოვრებას? საბოლოოდ დაიქცევა ჩვენი ოჯახი. გავიყვანე პირის დასაბანად, და ისევ ჩემს მხარზე დაყრდნობილი წავიყვანე ლოგინისაკენ.

— რა ცუდად ვარ, თამაზ, ხომ არა ვკვდები? — მითხრა და ლოგინში ჩაწვა.

— რა დროს სიკვდილია, დედა, — დავამშვიდე, გამძლე ქალი ხარ, ორშაბათს მოვა თამაზი (თამაზ ჩაჩავა, კარდიოლოგი), წაგიყვანს მამამისის დაარსებულ ინსტიტუტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგილევენ წყალს, ახე რომ გამძიმებს, და ისევ ძველებური ნანა იქნება-მეთქი.

ახე მჯეროდა, გულწრფელი ვიყავი.

მართლაც მწამდა მისი გამძლეობისა. არასოდეს უხსენებია მამა, არ გამოუკიდია მისი სურათი, არ ულაპარაკია სიკვდილზე. როცა მამას ცხედარი სამარეში უნდა ჩაეშვა, ქალებმა ჩურჩული დაიწყეს, მიდი, დაემშვიდობეო. დედაჩემი კუბოსკენ წამოვიდა და მე თვითონ არ ვიცი რამ მიბიძგა, უცებ წინ გადავუდექი: ნუ მოდიხარ, დედა, ეს მამა აღარ არის, მამა უკვე ცაშია! — მითქვამს ხმამაღლა.

დედა შეჩერდა და უსიტყვოდ, უცრემლოდ დამემორჩილა.

დედას სიკვდილის ღამეს უძინარი ვიყავი. დავლიე ძილის წამალი და ლოგინად მივეგდე.

დედაჩემის გვერდით ჩემი მეუღლე დარჩა.

შუაღამისას თურმე დედამ შფოთვა დაიწყო.

ჩემი მეუღლე მივიდა და მოეფერა.

— შენა ხარ? — უკითხავს დედაჩემს და ერთი ხანობა მისი ხელი სჭერია.

შემდეგ უხმოდ, საბოლოოდ დაუხუჭავს თვალი.

ეს მოხდა შუაღამისას.

ჩემი სიდედრი, განაწამები და გატანჯული ქალი (ამაზე ცალკე გიამბობთ) უკვე გარდაცვლილი იყო და სიკვდილი ჩემს მეუღლეს აღარ აშინებდა.

არ გამაღვიძა, უჩუმრად გაასპეტაკა ცხედარი, მერე დაუჯდა თავთან და გათენებას დაელოდა.

ეს იყო ცხრა აპრილი, ჩემი დაბადების დღე, თბილისური ტრაგედიის დღე (მას შემდეგ შინით ვერლი ხოლმე ცხრა აპრილს). როცა ინათა, ჩემი მეუღლე ლოგინთან მოვიდა, თავზე ხელი დამადო და გამომაღვიძა. მე შევკრთი, მას არასოდეს გავუღვიძებივარ. მას სახეზე არაფრის დამალვა არ შეუძლია და მე მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა:

— დედა გარდაიცვალა, — დაიჩურჩულა.

მერე აღარ ვიცი რა მოხდა.

სადღაც სიცარიელეში ჩუმად ვლტოდი.

დავკრძალეთ დედა მამაჩემის გვერდით, ძლივს გავუთხარეთ სამარე, იმ ანგარიშით, რომ ჩვენც, მეც და ჩემი მეუღლეც, იქ უნდა დავკრძალულიყავით. მე არაფერი მესმის იმ ხალხისა, პანთეონებს რომ სიცოცხლეშივე ეპოტინებიან, თითქოს ხიბას ირჩევდნენ. შვილი მშობლების გვერდით უნდა დაიმარხოს.

დავბრუნდით ქელეხიდან.

ხალხი დაიშალა. დავრჩით მარტო.

ჩემი მეუღლე ცდილობს მანუგეშოს.

შევხედე კედელს და კედლიდან შავ ჩარჩოში ჩასმული დედის სახე იცქირება.

— ჩამოხსენ სურათი! — მკაცრად ვეტყვი.

ჩემი მეუღლე უსიტყვოდ დამემორჩილა.

ახლა წიგნის თაროებისკენ გავიხედე, იქ პატარა სურათი იყო — დედა და მამა ერთად არიან, რაღაც სევდიანი ღიმილებით შემომცქერიან.

— მოაშორე ეს სურათი აქედან! — დავუყვირე და ჩემმა მეუღლემ ის სურათიც ისეთ ადგილზე დადო, სადაც ხშირად არ შევხვდებოდი.

საშინლად ძნელია უდედოდ ცხოვრება.

როცა ის იყო, ჩვენს პატარა ოჯახს (სამი მოხუცი — დედა, მამა, სიდედრი და ჩვენ, მე და ჩემი მეუღლე) სითბო არ აკლდა. საოცრად უყვარდა ჩემი მეგობრები. ასე იყო სოფელში, ასე იყო ქალაქშიც. და ეს ტრადიცია დღემდე შემოგვრჩა. ჩვენ არ გვიყვარს სადილი, თუ რომელიმე ჩვენი ახლობელი ან მეგობარი არ გვესწრება.

დრო მაინც ბრძენია.

მას მერე ორი წელი გავიდა.

ცხრა აპრილს აღარ ვზეიმობთ. ბოლო ის სურათი, სადაც დედა და მამა ერთად არიან გადაღებული, ჩემს სამუშაო ოთახში, წიგნის თაროზე დევს.

ისინი მანუგეშებენ და თვალებით მეუბნებიან: სასაფლაოზე ხშირად ნუ ამოხვალო. და მე ვემორჩილები მათ უსიტყვო ვედრებას. მათთან მხოლოდ აღდგომის დღეებს ვატარებ.

* * *

ჩემი სიდედრის, ქეთევან გელაშვილის ცხოვრება საქართველოს ტრაგედიის ერთი ფურცელია. იგი მეუღლე იყო ჭიათურელი სიმონ ვაშაძისა. სიმონი კი — ვაჟიშვილი დეკანოზ ისაია ვაშაძისა და ანა ბარათაშვილისა. მათ ოთხი შვილი ყავდათ, ორი ვაჟი, ორი ქალი. ერთმა ქალმა, მარგარიტა ვაშაძემ, განათლება პეტერბურგში მიიღო და ჭიათურაში რუსულს ასწავლიდა. მეორე — რებეკა ვაშაძე ცოლად გაჰყვა ჭაბუკ კონსტანტინე გამსახურდიას. შემორჩენილია და მკითხველისათვის სრულიად უცნობი ბატონ კონსტანტინეს წერილები, თავისი პირველი მეუღლისადმი მიწერილი. მგონი ასამდე წერილია. აქ ჩანს ჭაბუკი მწერლის ლიტერატურული და პოლიტიკური კრედო, მისი ლირიკული ბუნება. მათი ქალიშვილი ნათელა გამსახურდია, ამჟამად გრიბოედოვის ქუჩაზე, მამის დანატოვარ სახლში ცხოვრობს.

ძმებმა — სიმონ და დავით ვაშაძეებმა განათლება გერმანიაში მიიღეს. დავითი ჰუმანიტარი იყო, სიმონი, ანუ ჩემი სიმამრი — ინჟინერი.

სიმონის მეუღლე ქეთევანი ჯერ ცხრამეტი წლისა იყო, როცა ოცდაჩვიდმეტი წლის ღრუბელი წამოვიდა.

ერთ ღამეს სიმონ ვაშაძეს თავისი ბავშვობის მეგობარი, იმჟამად უკვე ჩეკისტი ეწვია და ათრთოლებულმა უთხრა: ერთი კვირაა შენს სახლს გარშემო ვუვლი, თავს ვერ მოვერიე, ნაბრძანები მაქვს წაგიყვანოო. ჩემმა სიმამრმა ბავშვობის „მეგობარი" დაამშვიდა და მარტო ის სთხოვა, თბილისამდე მეუღლეს გამაცილებსო. დაეთანხმნენ. მატარებელში თურმე ირწმუნებოდა (როგორც ყველა რეპრესირებული), ეს რაღაც გაუგებრობაა და მალე გამომიშვებენო.

ყველაფერი ცხადი მაშინ გახდა, როცა ქეთევანს თოთო ბავშვის აკვანი ეზოში გადმოუგდეს და სახლი დაულუქეს. სამი დღე-ღამე კოშკის ხის ქვეშ გაატარა 19 წლის ქალმა, თავისი ორიოდე თვის ბავშვით.

მერე გაიგეს, რომ სიმონ ვაშაძესთან ერთად დაუჭერიათ კიდევ რვა ქართველი ინჟინერი. ცხრა ახალგაზრდა, რომელთაც მხოლოდ ერთი ცოდვა მოუძღოდათ: განათლება კაპიტალისტურ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში მიიღეს.

მართლაც, რაში ჰჭირდებოდა პროლეტარულ საქართველოს, გერმანიაში გამოწრთობილი ინჟინრები?

მერე დაიწყო ქეთევანის სიარული ციხის კარებთან. თეთრეული, ტანსაცმელი, საჭმელი... ციხის კომენდანტი ყველაფერს კეთილსინდისიერად იღებდა, ქალს ამშვიდებდა, რომ მისი მეუღლე თავს კარგად გრძნობდა და ნურაფრისა ედარდებოდა.

ასე გაგრძელდა თვეზე მეტ ხანს.

ტანსაცმელს და სანოვაგეს კეთილსინდისიერად იღებდნენ, სიმონ ვაშაძე კი უკვე კარგა ხნის დახვრეტილი იყო, იმ რვა ქართველ ჭაბუკთან ერთად, რომელთაც განათლება გერმანიაში მიიღეს.

და მაინც მუდამ მხნედ იყო ქეთევანი.

მკაცრი, ჯიუტი.

საშინლად უყვარდა ხელოვნება. საათობით შეეძლო საბალეტო სპექტაკლების ყურება. ოცდაჩვიდმეტი წლის საშინელებებზე მიძღვნილ ფილმებზე კი ამბობდა, ასე სულელები რომ ყოფილიყვნენ ის ჯალათები, რა გვიჭირდაო.

წამლეკი ენერგია ჰქონდა.

აიღებდა 80 მანეთ პენსიას და ბაზარში გარბოდა, რათა ყველაზე ლამაზი ატმები ეყიდა და მოეტანა.

არასოდეს დაიჩივლებდა.

თურმე უკურნებელი სენი კი უღრღნიდა სხეულს.

ამ დროს ვაშაძეების უმცროსი ვაჟი დავითი ჯერ ისევ გერმანიაში იყო. ძმის ამბავი რომ გაიგო, საქართველოში აღარ ჩამოვიდა, იქ დასახლდა, შეირთო შესანიშნავი გერმანელი ქალი ანე-მარია, რომელიც ამჟამად ოთხმოც წელზე მეტს ითვლის და სრულიად მარტო ცხოვრობს ჰამბურგის ახლოს, პროვინციულ ქალაქ იტცეხოეში. ლოცულობს როდის შეხვდება საიქიოში თავის ქართველ მეუღლეს და კვლავ ბედნიერი იქნება.

ღმერთმა შეისმინოს მისი ვედრება...

დავით ვაშაძემ მძიმე ცხოვრება გამოიარა. ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულია მისი უამრავი პოლიტიკური და ლიტერატურული სტატია. იცოდა გერმანული და ფრანგული, თარჯიმნად მუშაობდა საფრანგეთ-გერმანიის ფრონტზე, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გრიგოლ რობაქიძესა და ვიქტორ ნოზაძესთან. გვაქვს ფოტო, სადაც იგი ნოზაძესთანაა გადაღებული თავის სახლში — იტცეხოეში.

6-7 წლის წინ მივიღეთ დავით ვაშაძის წერილი, იგი ჩემს მეუღლეს წერდა (სუფთა, დახვეწილი ქართულით), რომ ცხოვრობენ სრულიად მარტო, მხოლოდ მისი და ჩემი იმედი აქვთ და რაც გააჩნიათ, ჩვენთვის უნდათ.

ჩვენი ბარათები დიპლომატიური შედევრები იყო.

რას არ ვთხზავდით (ვცდილობდით, რომ ეს

ბარათები სადაც ჯერ არს, იქ შეისწავლებოდა), რომ ვცხოვრობთ შესანიშნავად, გვაქვს ორი ბინა თბილისში (სინამდვილეში ჩემს მეუღლეს ნახევრადსარდაფში ჰქონდა ოთახი), სურამში და ქვიათურაში. არ გვიჭირს, მაგრამ თუ ჩვენზე ზრუნვა მას რაიმე სიამოვნებას მიანიჭებს, დიდი მადლობელი ვიქნებით. რაც შეეხება პოლიტიკურ სიტუაციას, რაღაცეები შეიცვალა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოვახერხებდით გერმანიაში ჩასვლას და პირიქით, მეუღლესთან ერთად ვეპატიჟებოდით საქართველოში, ჭიათურაში, თავის მშობლიურ სახლ-კარში.

მან გვიპასუხა, რომ ხედავს რაღაცის შეცვლის თაობაზე, მაგრამ კომუნისტებს მაინც ბოლომდე ვერ ენდობოდა.

გავიდა ორიოდე წელი.

ერთ დღეს მოგვწერა, რომ ყველა საქმე მოაწესრიგა და მნიშვნელოვანი ქაღალდები მიაბარა ჰამბურგის ერთ-ერთ ბანკს, სეიფში შესანახად.

ის იყო, გარდაიცვალა კიდეც.

ჩვენს წინაა სურათი საფლავისა, სადაც ქართულად და გერმანულად წერია: დავით ვაშაძე... და მეორე წარწერა — ანე-მარია ვაშაძე.

ახლა ანე-მარია სრულიად მარტოა.

შემოგვრჩა ერთი პატარა იუმორი, რომელიც ბატონ დავითს თავისი ქართველი ნათესავისთვის უთქვამს: ჩემს ძმას რომ გაეგო მისი შვილი ქართულ კომუნისტურ გაზეთში მუშაობს, საფლავში გადაბრუნდებოდაო. ჩვენ კი გვანუგეშა, ამიერიდან მე ალარაფერს დავწერ, მეშინია, თქვენ არ შეგავიწროვონო.

ღვთის მადლით ყველაფერი შეიცვალა და გადავრჩით.

* * *

ახლა მამაჩემის წინაპრებს უნდა მივხედო. ლადო ბიბილური კარგა ხნის მკვდარი იყო. ბებიაჩემი ანეტა დაბერდა, თვალში სინათლე ჩაეშრიტა და ისე წავიდა, როგორი ვიყავი, არ იცოდა. მთელი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც შესხეთ-ჯავახეთიდან წამოსულ ქალს ეკადრებოდა, ზეპირად იცოდა, საგანგებოდ არასოდეს დამჯდარა, არასოდეს გაუზეპირებია. ყველაფერი თავისით ჩარჩა ხსოვნაში. „აბა, ბებო, ის გაიხსენე, ნესტანის წერილი“... და მოდიოდა რუსთველის ქართული, სუფთა, ანკარა, ოდნავ წამდერებით ნათქვამი. ბოლოს კი დაამატებდა: „მე გარდავხვულვარ სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია („ეს კი ჩემზეა ნათქვამი“), დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი აგრე მჭნელია“.

მერე მოგონებას იწყებს და იმასაც სიკვდილზე:

— ცხონებული ლადო რო მოკვდა, ლამე კუბოს გარშემო გაჟიშალეთ ლოგინები. ეს პაპიდაშენის ქმარი დიდი ოხერი იყო. რო დავწექით, ხმამაღლა დაუძახა: ლადო, არ წამოდგე და ზედ არ დამეცე, მე სულძაღლოო.

— სად გაიცანი ლადო? — ვეკითხები.

— დიაკვნად იყო ჩვენს სოფელში. ღვთისშობლის ხატი ეჭირა. ჩვენ მივდიოდით და უნდა ვემთხვიოთ. მეც მივედი... თავიდანვე ეშმაკი იყო, ტუჩებზე არ მიჩქმიტა?! მეც წამოვყე. მეტი რა დამრჩენოდა, უკვე ნაჩქმეტი ვიყავი. მოუვიდოდა ერთი ორმოცამდე გაზეთი. აანთებდა ლამპას, დაჯდებოდა და სამი დღე და ლამე კითხულობდა, თავს არ აიღებდა. როცა მოკვდა, საფლავში აი, ის წიგნი რომ იყო, „დონ კიხოტი“, კუბოში ჩავაყოლეთ ცხონებულს. არ მახსოვს, თვითონ დაიბარა თუ ჩვენ მოვიფიქრეთ.

ანეტა ბებო უკვე მკვდარია და სახლიდან უნდა გამოვასვენოთ. როგორც წესია, სახსლე შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა გამოვიტანოთ. მე მივედი ჩემს მამიდაშვილებთან — თეიმურთან და ნოდართან, მაშინ 15-16 წლისანი იქნებოდნენ და ჩაჩჩურჩულე, კუბო ჩვენ უნდა გავიტანოთ-მეთქი. გაფითრდნენ, უკან დაიხიეს, არ შეგვიძლია, ხელს ვერ მოვკიდებთო. ჩემთვის ეს გრძნობა გასაგები იყო და ორივეს მოვეფერე. მერე კუბოს ჩვენ შევუდექით, მე, მამიდაშვილის ქმარი და ორი მეზობელი. ეზოში ერთიბეწო დედაბერი მომიახლოვდა და მითხრა: ბებო გამოასვენე, შვილო?

საფლავზე საქმიანი ფუსფუსია — სამარე მიწით უნდა ამოივსოს. კუბოს სახურავზე ბრაგუნობენ გოროხები. შემდეგ ხმაური ნელ-ნელა წყდება და ფხვიერი მიწა თოვლის ფანტელებივით მიშრიალებს.

მე აქეთ-იქით ვიხედები.

აგერ, ის, წელანდელი ერთი ბეწო დედაბერი! წელში მოკაკულა, ჯოხს დაყრდნობია. ამდენ ხალხში ამ პატარა დედაბერს ყველაზე მეტად ეშინია სიკვდილისა.

* * *

ლამაზი წუთები თჯით უმძიმეს დროსაც ახლავს ადამიანის ცხოვრებას. ამის გარეშე, ალბათ, ადამიანი ვერ გაძლებდა.

მოხდა ისე, რომ მამიდაჩემი გვიან გავიცა-

უკვე უნივერსიტეტი დამთავრებული მქონდა, როცა მამას ბიძაშვილმა გორიდან ქვემო არცევში ამიყვანა. მამიდა შინ არ დაგვხვდა, მედდა იყო და სოფლის ამბულატორიაში წასულიყო. გავწიეთ იქით.

ბიძაჩემი ცოტა დაწინაურდა, გამოიძახა მამიდაჩემი. კიბეებზე ძალზე ახლობელი და მშობლიური ქალი ჩამოვიდა.

— თამარა, რა გაგახარებს, ახლა, ყველაზე უფრო? — ჰკითხა ბიძაჩემმა.

მამიდაჩემმა გამომხედა და თქვა:

— თუ ეს ბიჭი ჩემი თამაზია...

ამის შემდეგ მამიდა ჩემთვის ის გახდა, ვის გვერდითაც თითქოს მთელი ცხოვრება გამომევლოს.

მაგრამ ცხოვრებამ მაინც იძია შური: მამიდა იმ დროს გარდაცვლილიყო, როცა მე საბერძნეთში ვიყავი.

დაკრძალვას ვერ დივესწარი.

ორმოცზე ავედი სოფელში.

თავი თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა.

ყურადღებით გარემოცული ვიყავი და მთელი ბიბილურები გაოცდნენ, რას წარმოვადგენდი ასეთს, რადგან არცერთი არ მიცნობდა.

დავსხედით დიდ დარბაზში.

დარბაზი ჯერ ისევ მოუმთავრებელი იყო და სახლის სარკმელები ფარდალალაფი[illegible] იყურებოდა, თამადობდა მოხუცი ციციკორე, ჩემი მამიდაშვილის მაზამთილი, ყოველი ლხინის თუ ჭირის სუფრის თამადა.

როგორც კი ციციკორე პაპა წამოდგა და მიცვალებულის შესანდობარი ახწია, ერთბაშად ოთახი მერცხლებით გაივსო. შავოსანი მერცხლები შემოსკუპდნენ ნათურებზე, ფანჯრის რაფებზე, ავეჯის თავზე.

ყველა გაოცდა და სიჩუმე ჩამოდგა.

პაპა ციციკორე მამიდას შესანდობარს სვამდა ამ სიჩუმეში.

* * *

ეს ნაწყვეტებია წიგნისა.

ვიცი, მემუარულ ჩანაწერებს მაშინ იწყებს კაცი, როცა თავადაც წერას არის ატანილი და რაღაცის სიახლოვეს გრძნობს.

რა ვიცი, ხვალ რა იქნება.

გავა ხანი და ჩემს წასულ მეგობრებზედაც მოგითხრობთ, თუ მეც მალე არ წავედი.

ისე, მართლა, სიკვდილზე არც უნდა იფიქრო; არც გეშინოდეს მისი. სიკვდილს ისე უნდა უყურო, როგორც უყურებს ვაჩნაძიანელი ძალუაჩემი მარგო.

ის იჯდა დედაჩემის ცხედართან და მოთქმით ტიროდა.

მერე სიჩუმე ჩამოწვა. მოთქმით ტირილი ცივილიზებულ ქალაქში ცუდ ტონად ითვლება.

და ამ სიჩუმეში ძალუაჩემმა ხმამაღლა თქვა:

— ელიკოც წავიდა, ნინაც. მეც უნდა წავიდე, აქ რაღა ჭირი დამრჩენია.

წელიწადში ერთხელ ჩამოვა — ყურძნის ჩხებით, აკიდოებითა და ჯაგნებით, ღვინით და არყით, წელში მოხრილი, შეცვლილი.

— აი, ეგრე ვარ. მემრის იქნება აღარც მეღირსოს ჩამოსვლა.

სიჩუმეა.

— იგეთი უჯიგრო ხარ, ვიცი, ჩემ დამარხვაზეც არ ჩამოხვალ.

ისევ სიჩუმე.

მერე ერთბაშად გაეცინება:

— ჯავახა მოკვდა.

— საწყალი, — მე ვეუბნები.

— არ უნდოდა, ბიჭო, წახვლა! მაშ უნდა მოვკვდეო? მაშ აღარ უნდა ვიყოო? მეც კარგები ვუთხარი...

— რა უთხარი?

— უნდა მოჰკვდე, მაშ რა-მეთქი?! ეგე, სხვისი მოხავლელი გაჰხდი-მეთქი!

მაინცა ვიშვიშებდა და დავუყვირე, ახლა შენი გულისთვინ სიკვდილს გააუქმებენ-მეთქი?!

მწერალი მუდამ სხვათა დედაზე, სხვათა დიდედაზე წერს. ღვიძლი მშობელი თითქოს არც არსებობდა.

ჩვენმა დიდებმა რა დააშავეს?

იქნებ იმ მოგონილ პერსონაჟებს ნამდვილად არსებული ჯობს?

რა ვიცით... ეს ლიტერატურის თეორიამ უნდა განსაჯოს. მწერალს კი შეუძლია თქვას: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

საქართველოს



პატარა ნათია

# აქ ლომეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში შემოსულმა მადლობის ბარათმა, არა მარტო პატარა არსების მეორედ დაბადება გვამცნო, არამედ ბევრ კარგ, უალრესად საჭირო და სათნო ადამიანებს შეგვახვედრა.

აი ისიც:

„ძვირფასო რედაქცია!

მინდა ჩემი დიდი სიხარული და ბედნიერება გაგიზიაროთ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბეწვზე ეკიდა. პირველი ვაჟის შემდეგ გოგონა შემეძინა, მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, როცა ახალშობილი რთული დიაგნოზით სამშობიაროდან პირდაპირ ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მდგომარეობა იმდენად რთული და არასაიმედო იყო, იმედის მცირე ნაპერწკალიც აღარ მრჩებოდა... მაგრამ ბავშვის საავადმყოფოში მიყვანის დღიდან ნევროლოგიური განყოფილების მთელი მედპერსონალი, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგა. ექიმები არაფერს იშურებდნენ ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად.

რა დამავიწყებს პალატის ექიმის, რუსუდან ლასარეიშვილის ყურადღებასა და გულისხმიერებას, პალატის მედდის ნინო იმნაძის სათნოებას, ახალბედა პედიატრების სოფიკო შარაბიძისა და ზურაბ გელაშვილის, მთელი მედპერსონალის თანადგომას. არა, ნამდვილად არ მეჩვენებოდა. ისინი ჩემსავით წუხდნენ, ჩემსავით განიცდიდნენ, ჩემსავით უხაროდათ ყველაფერი ის, რაც ჩემი პატარა გოგონას გარშემო ხდებოდა. და განა მარტო ჩემის, ასეთივე გულისხმიერებას იჩენდნენ ყველა აქ მოხვედრილი ახალშობილის მიმართაც.

ბავშვს ჩაუტარდა ყველა სახის გამოკვლევა, დაუნიშნეს მკურნალობა. განყოფილების გამგემ კონსილიუმიც მოიწვია, რომელსაც კათედრის გამგე, პროფესორი ირაკლი ფავლენიშვილი დაესწრო. გაკეთდა საჭირო დასკვნები.

როცა პალატაში შემოსული განყოფილების გამგის — ია დავითაიას — სიხარულით გასხივოსნებულ თვალებს შევხედე, ჩემი შვილი მაშინ ხელმეორედ დაიბადა.

ჩემი დიდი სურვილია, ყველამ იცოდეს ამ გულისხმიერი ადამიანების შესახებ. მათი გაცნობა ბევრ მშობელს დაუბრუნებს დაკარგულ იმედს, ბევრ დედას აჩუქებს შვილის გადარჩენით მინიჭებულ უდიდეს სიხარულსა და ბედნიერებას".

წერილს ხელს აწერს ორი შვილის ახალგაზრდა დედა ნინო დგებუაძე.

შეუძლებელია დედის ამ გულწრფელი სიტყვების აუღელვებლად წაკითხვა. მისი წაკითხვისთანავე საოცარი სურვილი გიპყრობს, რაც შეიძლება მალე გაიცნო ის ადამიანები, რომლებიც წერილის ადრესატები არიან.

ჩვენც არ დავაყოვნეთ.

და აი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის ბატონ თენგიზ ბაქრაძის სიტყვები — ყველაფერს ჩემზე უკეთ ქალბატონი ია გეტყვითო, — პირველი სავიზიტო ბარათი იყო ახალშობილთა ნევროლოგიური განყოფილების გამგის — ია დავითაიას გასაცნობად.

ჩვენი შეხვედრა ექიმის კაბინეტში კი მაშინ შედგა, როცა ია ექიმმა კიდევ ერთი დედა გაისტუმრა დაიმედებული, მეორეს კი საავადმყოფოში დარჩენა ურჩია.

ჩვენი საუბარი გულთბილად და ბუნებრივად აეწყო.

პირველივე შეკითხვა, რა თქმა უნდა, ამ განყოფილების ფუნქციას და დანიშნულებას შეეხო.

— განყოფილება 1976 წელს საავადმყოფოს გახსნისთანავე ჩამოყალიბდა, — მიხსნის ქალბატონი ია, — მხოლოდ პირველად დღენაკლულ ახალშობილთა განყოფილება ერქვა, 1986 წლიდან კი ახალშობილთა ნევროლოგიურ განყოფილებად გადაკეთდა. ჩვენთან ძირითადად ხვდებიან ნევროლოგიური პათოლოგიით დაბადებული ახალშობილები, რომლებიც მკურნალობის გასაგრძელებლად გადმოჰყავთ სამშობიარო სახლებიდან, ზოგ შემთხვევაში კი ბინებიდან და პოლიკლინიკებიდან. განყოფილება ორმოც საწოლზეა გათვალისწინებული, მათგან რამდენიმე საწოლი დათმობილი აქვს დღის სტაციონარს, სადაც ახალშობილებს უტარდება პროფილაქტიკური გამოკვლევები დღის საათებში.

— ძირითადი რა სახის ჩვენებით ხვდებიან თქვენთან ახალშობილები? — ვეკითხები ქალბატონ იას.

— ორსულობისა და მშობიარობის პათოლოგიით. აქ იგულისხმება ასფიქსიაში დაბადებული ახალშობილები, რომლებსაც პირველი დღეებიდანვე აღენიშნებათ აღგზნების ან დათრგუნვის სინდრომი, კრუნჩხვითი მოვლენები, კეფალოგემატომა, სამეანო პარეზები, თანდაყოლილი გენეტიკური პათოლოგიები.

ეს რომ თქვა, ქალბატონმა იამ თხრობა წუთით შეწყვიტა, თავი დანანებით გადააქნია და ჩაფიქრდა.

ადვილი მისახვედრი იყო, რომ მის გონებაში რაღაც მტკივნეული სიმი შეირხა. მდგომარეობიდან რომ გამომეყვანა, ისევ შეკითხვა დავუსვი:

— როგორია მკურნალობის შედეგები?

ქალბატონმა იამ თავი ასწია, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— საავადმყოფოდან ახალშობილთა უმრავლესობა სრულიად განკურნებული მიჰყავთ, ძალიან ცოტა პროცენტს კიდევ სჭირდება განმეორებითი კურსის ჩატარება. ყველაზე გულსატკენი კი ისაა, ზოგჯერ თვით ბავშვის მშობლები და ახლობლები იჩენენ უსულგულობას, ყურს უგდებენ ვიღაც არამკითხეს თუ ვაი ექიმის ნათქვამს და ხელჩაქნეულები არიან ბავშვის ჯანმრთელობაზე.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითებიც გვაქვს:

ია ექიმი მარჯვნივ გადაიხარა, მაგიდის ბოლო უჯრა გამოაღო და ქაღალდის ორი ფურცელი გამომიწოდა...

ჩავიკითხე ორივე მათგანი და თვალებს არ დავუჯერე.

ხელწერილს პატარა ნათიას მშობლები წერდნენ, რომ ისინი თავიანთი ნებით ტოვებენ შვილს და არავითარი უფლება არ ექნებათ მასზე.

— ეტყობა მდგომარეობა მართლაც გამოუვალი ყოფილა, — წამომცდა უნებურად.

— რას ბრძანებთ, — სიტყვა გამაწყვეტინა ქალბატონმა იამ, — ბავშვი ახლაც ჩვენთანაა, გნებავთ გაჩვენებთ, მას მხოლოდ მარცხენა ზედა კიდურის პარეზი ჰქონდა. მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ვვარაუდობთ მის სრულ განკურნებას მოკლე დროში. მხოლოდ ამის შემდეგ დავიბარებთ მშობლებს და ვაჩვენებთ თავიანთი ნებით დატოვებულ, სრულიად განკურნებულ შვილს. აი, შემდეგ

# ხელი უწყვეთ

ია დუმთაია

## ნუნუ კუპრეიშვილი

კი... შემდეგ როგორ მოვიქცევით, ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია...

— ალბათ, ვიღაცამ შეიყვანა ისინი შეცდომაში, — ვცდილობდი, რაღაც გამართლება მომეძებნა მშობლების ნაუცბათევი და მკაცრი გადაწყვეტილებისათვის.

— მსგავსი მაგალითები ჩვენთან არც თუ იშვიათია, მაგრამ ერთი მათგანი ალბათ, არასოდეს დამავიწყდება.

ახალშობილი ჩვენთან ბიძამ მოიყვანა. მშობლებს იგი უკვე დაღუპული ეგონათ. ახლობლებმა გადაწყვიტეს, დაემალათ ბავშვის არსებობა მშობლებისათვის, რადგან, როგორც დაარწმუნეს ისინი, ბავშვს სასიკეთო პირი არ უჩანდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მის მშობლებს პირველი შვილიც ავადმყოფი ყავდათ. ბავშვს რვა თვემდე ვუმკურნალეთ. შვილივით ვესათუთებოდით, ყოველდღე სახლიდან მოგვქონდა ახალი ხილი და ბოსტნეული, ბულიონი თუ სუპები. ჩვენი ექიმები და მედდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვის რა ეჭმია ჩვილისათვის. ბავშვი გამოკეთდა. ვაცნობეთ ბიძას. ეხლაც თვალწინ მიდგას, — ამოიოხრა ია ექიმმა, — კვირა დღე იყო. მშობლები სახლში მომადგნენ, მათთან ერთად საავადმყოფოში წამოვედი.

ენით აუწერელი იყო მშობლების შეხვედრა რვა თვის წინათ „მკვდარ" შვილთან. ტიროდნენ ისინი, ვტიროდით ჩვენ. არ გვეთმობოდა შვილობილი, მაგრამ ამ ბედნიერმა წუთებმა ადვილად გადაგვატანინა ყუშიტასთან, როგორც მოფერებით ვეძახდით, განშორება. ისინი დღესაც არ გვივიწყებენ.

— მადლობა ღმერთს, თქვენი წყალობით, აქ ყველაფერი ზღაპარივით კეთილად დასრულებულა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა თქვენს ადგილას სხვასაც ხელი ჩაექნია?

— საქმეც ამაშია, დღეისათვის ისევე, როგორც უამრავი სხვა პრობლემა, სამედიცინო სფეროშიც ახალშობილთა პრობლემა სოციალურ პრობლემად რჩება. უფრო სასურველი იქნებოდა ახალშობილზე ზრუნვა ჯერ კიდევ ჩასახვამდე დაგვეწყო, ე. ი. გვეფიქრა მომავალი დედის ჯანმრთელობაზე. ეს ძირითადად უნდა განხორციელდეს სკოლებში და ქალთა კონსულტაციებში.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალშობილები დროულად იყვნენ გადმოყვანილები თქვენს განყოფილებებში?

— არა მარტო ჩემს განყოფილებაში, საერთოდ, ჩემი აზრით, ნებისმიერ პროფილირებულ განყოფილებაში ახალშობილთა გადაყვანა უნდა მოხდეს ვიწრო პროფილის სპეციალისტის კონსულტაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ჩვენი განყოფილების ნეონატოლოგ-ნევროპათოლოგების მიერ. ამისათვის აუცილებელია იყოს ნეონატოლოგიური ცენტრი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველანაირი ახალშობილი. აქვე უნდა მოხდეს პათოლოგიის დიფერენცირება და ამის შემდეგ განაწილდება ახალშობილები განყოფილებების მიხედვით.

— მაინც რა იწვევს ნევროლოგიურ პათოლოგიას?

— მიზეზი ძალიან ბევრია. როგორიცაა ეკოლოგიური გარემო, ფსიქოლოგიური და ნერვული სტრესები, ვირუსული ინფექციები, დაბალი ჰემოგლობინი, ორსულთა ტოქსიკოზი, მექანიკური ტრავმა, ქრონიკული ინფექციები, გულის თანდაყოლილი მანკი, დიაბეტი, გიპოტონია, ნეფროპათია და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია დედის ან მამის მიდრეკილება ალკოჰოლის, ნარკოტიკების ან თამბაქოს მიმართ.

როგორ ავიცილოთ თავიდან ყოველივე ეს? — ამაზე ადრეული ასაკიდანვე უნდა ვიზრუნოთ, — თვითონვე გასცა პასუხი თავისსავე დასმულ კითხვას ქალბატონმა იამ და დასძინა, — ამისათვის აუცილებელია მოზარდს თავიდანვე შევუქმნათ ნორმალური ჰიგიენური და სოციალური პირობები, რათა ის ჯანმრთელ მომავალ დედად ჩამოყალიბდეს. სკოლაშივე უნდა მოხდეს მათი დისპანსერიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტს. სამწუხაროდ, ჩვენი გოგონების უმრავლესობა ჰიპოდინამიურები არიან, რაც იწვევს მუცლის პრესის მოდუნებას, ეს უკანასკნელი უარყოფითად მოქმედებს ორსულობა-მშობიარობასა და თავისთავად ნაყოფზეც.

— ერთსაც ვიტყოდი, — განაგრძობდა ია ექიმი, — მოზარდს ცხოვრებაში ორჯერ აქვს ყველაზე კრიტიკული სიტუაცია: პირველი, როდესაც მზრუნველობას მოკლებული ახალშობილი ფიზიკურად განწირულია, და მეორე, როცა მშობლების გარეშე იგი ვერ ჩამოყალიბდება პიროვნებად. კონკრეტულად ეს ასაკი ე. წ. გარდამავალი პერიოდია, 11-12 წლიდან 14-15 წლამდე. პირველ შემთხვევაში სახელმწიფომ იზრუნა ახალშობილზე და დედა გაათავისუფლა სამუშაოდან სამ წლამდე სხვადასხვა შეღავათებით. მეორე პრობლემა კი პრობლემად რჩება და სწორედ იმ ასაკში, როცა მოზარდს ყველაზე მეტად ესაჭიროება გვერდში დგომა, რათა ის ნამდვილ პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბდეს, ფაქტიურად უმეთვალყურეოდ რჩება ქუჩაში. რა დასამალია და — ხმაში მღელვარება შეეტყო ქალბატონ იას, — ამიტომაც გვყავს ამდენი უსაქმური, გზასაცდენილი, მორფინისტი, ქურდი და უსწავლელი.

დროა, სახელმწიფომ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზეც იზრუნოს და მშობლებს, იმისდა მიხედვით, რომლის თანა-





# ყინულზე



ჰერმან ჰესე

## უცხოური ნოველა

რა ლამაზი იყო მაშინ ზამთარი. ცამეტისაც არ ვიყავი, მქონდა ჩემი ბავშვური ოცნებები, გატაცებები და ჯერ კიდევ მხიბლავდა ეს მრავალფეროვანი და მდიდარი ქვეყანა. ის-ის იყო მოკრძალებით, მაგრამ ხარბად ილექებოდა ჩემში ლაღი და უმტკივნეულო ბავშვობის სურათები.

გრძელი და მკაცრი ზამთარი იდგა ჩვენს ლამაზ შვარცვალდზე. რამდენიმე კვირის მანძილზე იდო ყინული, დღესაც ვერ ვივიწყებ იმას, ერთ ხუსხუსა დილას, პირველად რომ დავაბიჯე მდინარეზე. სარკესავით მთელ და გამჭვირვალე ყინულის საფარველქვეშ სარკესავით ირეკლებოდა კამკამა წყალი, ფსკერზე მოფენილი ფერად-ფერადი კენჭებით... ერთიმეორეში ფანტასტიკურად გადახლართული წყალმცენარეები... ზოგჯერ თევზსაც მოკრავდით თვალს. მთელ დღეს აქ ვატარებდი. ვსრიალებდი ჩემს მეგობრებთან ერთად. ხან სირბილში ვეჯიბრებოდით, ხან სიმაღლეზე ვხტოდით. სიცივესაც არ ვეპუებოდი. დაწითლებული ლოყებითა და გარუჯული ხელებით თავდავიწყებით დავქროდი, მაგრამ მაინც ვერ ვიოკებდი ჩემს ბავშვურ გრძნობებს. ციგურები ყველას ძველმოდური გვეცვა, თასმებით უნდა მიგვემაგრებინა ჩექმებზე. მაგრამ ეს სრიალში სრულებითაც არ გვიშლიდა ხელს. მხოლოდ ერთი ფაბრიკის მეპატრონის ვაჟს ჰქონდა რაღაც სხვანაირი ციგურები, ყოველგვარი გადასაჭერების გარეშე, ორ წუთში რომ შეეძლო გახდაც და ჩაცმაც. მას მერე ეს ციგურები საშობაო ოცნებათა ნუსხაში მეწერა და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ დამწყდა გული, თორმეტი წლის შემდეგ მაღაზიაში რომ მოვიკითხე და მი-

დგომაც უფრო სჭირდება შვილს, მისცეს მეორე, რაც გნებავთ, ის დაავარქვათ, თუნდაც საყმაწვილო შვებულება ორი ან სამი წლით. ამით, დამერწმუნეთ, სახელმწიფო მეტს მოიგებს და მეტი ჯანსაღი და ზნეობრივად ჩამოყალიბებული თაობა გვეყოლება. ან იქნებ სამღვდელოებამ აიღოს ეს კეთილშობილი მისია თავის თავზე, თუკი სახელმწიფოს არ ექნება ამის საშუალება.

ვუსმენდი ქალბატონ ია დავითაიას და ვფიქრობდი, რა იქნება, ყველამ რომ ასე იმსჯელოს და იმოქმედოს, ვისაც პატარა თუ დიდი ადამიანის ჯანმრთელობასა და მომავალზე ზრუნვა ევალება.

დედა ნახე, მამა ნახეო... ხომ გაგიგონიათ. ია დავითაიას დედა ცნობილი პედიატრია. ქალბატონმა ქრისტინე თედიაშვილმა ორმოცდაათი წელი თავდაუზოგავად იმუშავა ე. წ. სამხრეთ ოსეთში ბავშვთა ექიმად. ცხინვალში თითქმის არ მოიძებნება ადამიანი, მისი მზრუნველი ხელისა და გულის სითბო რომ არ ახსოვდეს. ასეთივე სულისკვეთებით ზრდიდა შვილებსაც. „ჩემო საყვარელო შვილებო, ია და მზია (მზია ყველასათვის საყვარელი მწერალი მზია ხეთაგურია)! — სწერდა შვილებს ერთ-ერთ წერილში, — ... რომ იცოდეთ, როგორი ბედნიერი ვარ! წუხელ რომ მომაკვდავი ბავშვი მოგვიყვანეს, გადარჩა... ეცადეთ, თავდაუზოგავები იყოთ შრომაში, რომ სხვისმა ბედნიერებამ თქვენც ბედნიერება მოგანიჭოთ".

ჩვენი საუბარი თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად დიდსა თუ პატარა პრობლემას შეეხო. დროდადრო იღებოდა ექიმის სამუშაო ოთახის კარი, მორიდებით შემოდიოდნენ პალატის ექიმები, მედდები, ავადმყოფის მშობლები, საჭირო რჩევას ეკითხებოდნენ და ისიც დიდი სიყვარულითა და სითბოთი პასუხობდა ყველა მათგანს. ერთი-ორჯერ კაბინეტიდან გასვლაც მოუხდა პატარა პაციენტის სანახავად.

როგორც შევიტყვეთ, საავადმყოფოს ძალზე კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნია ახალშობილის მაღალ დონეზე მომსახურებისათვის. განყოფილებაშივე ტარდება ნერვული სისტემის ულტრა ბგერითი გამოკვლევა. ყავთ კონსულტანტი, ნეიროქირურგი, ნეიროოფტალმოლოგი, ნეირორენდგენოლოგი, გენეტიკოსი. ახალშობილებს უტარდებათ ფიზიო და ბალნეო პროცედურები. ყავთ კვალიფიციური მასაჟისტი და მეთოდისტი. და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი კადრები.

ბოლოს ექიმთა სოციალურ პრობლემებსაც შევეხეთ.

თხრეს: ეს უკვე მოძველებული მოდელია და თანაც არც თუ ისე საუკეთესო. ასე დავკარგე ჩემი ბავშვობის ოცნება.

საცურაო მოედანზე გვიანობამდე ვრჩებოდი. მიყვარდა მარტოდ სრიალი. ვვარჯიშობდი წონასწორობის შენარჩუნებაში, ჰაერში რკალისებურად ტრიალში. ყველაფერი ეს სიამოვნებას მანიჭებდა. ჩემი მეგობრები კი ყინულზე მხოლოდ იმიტომ დადიოდნენ, რომ გოგონებს გამოლაპარაკებოდნენ. თამამად ეხახებოდნენ მათ, თავს აბეზრებდნენ თხოვნით, რომ ერთად ესრიალათ. მე კი არავინ მაინტერესებდა. დავქროდი მარტო და ამით ვტკბებოდი. შეიძლება სხვები დამცინოდნენ კიდეც. მე კი მიკვირდა, უფრო სწორედ, მაინტერესებდა, რა იდო ჩემი მეგობრების ამ თავაზიან ქცევაში, სინამდვილეში ისინი ხომ სულ სხვანაირები იყვნენ.

და აი, ერთხელაც, ზამთრის ბოლოს, ჩემამდე ასეთმა ჭორმა მოაღწია. ნორდკაფერმა ციგურების გასვლისას ემა მაიერს აკოცაო. ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავდა მათი ეს მოჩვენებითი თავაზიანობა, გაუთავებელი საუბარი... ამ ამბავმა შემძრა. ჩემთვის ეს რაღაც უცხო, შორეულ სამყაროს განეკუთვნებოდა. თუმცა ვერ დავმალავ, რომ ამ აკრძალული ხილის მომნუსხველი ხენი თავისებურად მეც მიზიდავდა. ეს იდუმალი, ენით აუწერელი, ბნელი მაგრამ ტკბილი, შემზარავად მომხიბვლელი გრძნობა ალბათ ყველა ჩვენთაგანშია დამარხული. მაგრამ ჩვენ, ბავშვები, ამ გრძნობას ჭორების სახით ან ლეგენდარული სასიყვარულო თავგადასავლებით, ზოგჯერ კი სკოლიდან გაძევებულ გოგონათა საქციელით ვეცნობით.

ნორდკაფერი თოთხმეტი წლის ჰამბურგელი ბიჭი იყო. მისი ცელქობა და სახელი სკოლის გარეთაც ქუხდა. ღმერთია მოწამე, როგორ პატივს ვცემდი მას. რაც შეეხება ემა მაიერს, ეს უდავოდ მშვენიერი გოგონა იყო მთელ სკოლაში. ქერა, ცქვიტი, კდემამოსილი, ასაკით ტოლები ვიყავით.

ეს დღე იყო და ეს, ჩემი გონება მხოლოდ ერთ ოცნებასა დაეპყრო: ეჭვგარეშეა, მოწაფეს ასეთი რამ ეკრძალებოდა და მივხვდი, რომ ჩემი ოცნების განხორციელებლად საცურაო მოედანი იყო ყველაზე მოხერხებული. დავიწყე ჩემს გარეგნობაზე ზრუნვა. დიდ დროს ვანდომებდი თმის ვარცხნას, ვცდილობდი ყოველთვის სუფთად და მოხდენილად მცმოდა. დებს აბრეშუმის ყელსახვევიც ვთხოვე. გოგონებს თავაზიანად ვეპყრობოდი, თავიდან კი გაუკვირდათ ჩემგან ასეთი ქცევა, მაგრამ, როგორც ჩანს ესიამოვნათ კიდეც. მინდოდა რომელიმე მათგანს გამოვლაპარაკებოდი, თავი მომეწონებინა, არა და ასეთი რამ ადრე არც მიცდია. ვაკვირდებოდი, სხვა ბიჭები რას ეუბნებოდნენ გოგონებს. ზოგი ესალმებოდა, ხელსართმევდა და გაურკვევლად ლუღლუღებდა რაღაცეებს. უმეტესობა კი ამ ფრაზას ხმარობდა: „ნება მიბოძეთ“. მეც ეს მომეწონა ყველაზე მეტად. საათობით ვიდექი ბუხრის წინ, რევერანსს ვაკეთებდი და ხმამაღლა ვიმეორებდი ამ სიტყვებს.

მოკლედ, პირველი უმძიმესი ნაბიჯები გადადგმული მქონდა, ახლა ძირითადი ჩანაფიქრის განხორციელება იყო მთავარი. ჯერ გუშინ ვაპირებდი, მაგრამ არ გამომივიდა, ნაღვლიანი დავბრუნდი შინ. დღეს კი რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც უნდა მივაღწიო საწადელს. ქურდივით შევიპარე საცურაო მოედანზე, ვიღაცეების ჯგუფმა გამიტაცა და მეორე მხარეს გამიყვანა. ვცდილობდი სიმშვიდე არ დამეკარგა, არაფერი შემტყობოდა. ორჯერ სწრაფად შემოვუარე მოედანს, სახეზე ცივი ჰაერი მეხეთქებოდა და მსიამოვნებდა. უეცრად ზუსტად ხიდის ქვეშ ვიღაცას დავეჯახე, შეცბუნებული გვერდზე გადავხტი, ყინულზე მშვენიერი ემა იჯდა. როგორც ჩანს, მე წავაქციე. აშკარად ცდილობდა შეეკავებინა ტკივილი. თან საყვედურნარევი თვალებით მიყურებდა. ყველაფერი დატრიალდა ჩემს ირგვლივ. „დამეხმარეთ მაინც“, — მიაძახა თავის მეგობრებს. სისხლი მომაწვა თავში, სწრაფად მოვიძრე ქუდი და ხელი გავუწოდე, წამოვაყენე. შეშინებულები და დამორცხვებულები ვიდექით გვერდიგვერდ. ვერ ვბედავდით ხმის ამოღებას. უცხოდ შესალბუნებოდა მშვენიერი არსების სიახლოვე. მისი თმა, სახე, რაღაც უცნაურ ფრუანტელს მგვრიდა მთელს სხეულში. ბოდიშის მოხდაც კი ვერ მოვიფიქრე, გონებადაბინდულმა მექანიკურად ესღა ამოვილუღლუღე: „ნება მიბოძეთ“.

უსიტყვოდ მომკიდა მან თავისი ნატიფი თითები, რომლის უჩვეულო სითბომ ხელთათმანებშიც შემოაღწია და თან გამიყოლია. სიზმარში მეგონა თავი. ბედნიერებისა და უხერხულობისაგან სუნთქვა მეკვროდა. თხუთმეტი წუთი ვსრიალებდით ერთად, შემდეგ კი ერთ-ერთ გასასვლელთან ხელი გაითავისუფლა, ჩუმი ხმით მადლობა გადამიხადა და წავიდა. კიდევ დიდხანს ვიდექი იმავე ადგილას გაშეშებული, გვიან მოვეგე გონს და გამახსენდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის.

ყინული დადნა, მაგრამ ამგვარი რამ აღარასოდეს განმეორებულა. ეს იყო ჩემი პირველი სიყვარული. გავიდა წლები, როგორც იქნა, ასრულდა ჩემი სანუკვარი ოცნება და მე გოგონას ბაგეებს შევეხე.

თარგმნა
მაია ჭირიანაშვილმა.

---

ია ექიმმა ერთი მეტად საგულისხმო ამბავი მოიგონა:

ატლანტის მერის ქალიშვილი, რომელიც თბილისში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა, მოწამლულა რაღაც საკვებისაგან. ია ექიმს მთელი დღე უმკურნალია მისთვის. ბავშვის თანმხლები ქალი ძალზე შეწუხდა თურმე. მიზეზი, როგორც გარკვეულა ის იყო, რომ სტუმარმა არ იცოდა, როგორ აენაზღაურებინა ექიმისათვის მთელი დღის მკურნალობის საფასური.

ია ექიმს ამერიკელი ქალის ამ საქციელზე გაკვირვება გამოუხატავს და მისთვის აუხსნიათ, რომ ჩვენთან არა მარტო დღიური, ექიმის ყოველთვიური ანაზღაურება საკმაოდ მცირეა და მითუმეტეს ჩვენს სტუმარს მკურნალობის ფულს როგორ გამოვართმევთო.

მაშინ ამერიკელ ქალს უთქვამს:

— რას ბრძანებთ, განა სიცოცხლეზე ძვირფასი ადამიანს სხვა რამ გააჩნია?

მისმა პასუხმა მეც ჩამაფიქრა, — თქვა ია ექიმმა, — ან კი შეიძლება, ექიმს სოციალური პრობლემა აწუხებდეს და მან სრულფასოვნად იფიქროს ავადმყოფის ჯანმრთელობაზე? რატომ უნდა იყოს ექიმი ავადმყოფის ან მისი პატრონის ხელის შემყურე, ამაზე დამამცირებელი ხომ არაფერია ადამიანისათვის?

იქნებ ამაზეც ღირდეს დაფიქრება.

კარი ისევ თეთრხალათიანმა შემოაღო და ექიმს თვალით რაღაც ანიშნა. მივხვდით, რომ მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და საჩქაროდ დავემშვიდობეთ.

დერეფანში, ია დავითაიას სამუშაო ოთახის წინ, გრძელი რიგი დამდგარიყო...

* * *

ნინოს წერილის მიღებიდან საკმაო დრომ განვლო. გადავწყვიტე, ბავშვი მომენახულებინა. პატარა თათია უკვე ხუთი თვისაა. იგი სრულიად ჯანმრთელია. საზღვარი არა აქვს მისი მშობლების სიხარულს. ოჯახის წევრები მადლიერებას გამოთქვამენ თათიას მკურნალების მიმართ.

— ერთსაც გაგიმხელთ, — თვალცრემლიანი მეუბნება ბებია. — თავიდან იმდენად უიმედოდ ვიყავით, ბავშვი საავადმყოფოში მოვანათვლინე, ახლა ძალიან მიჭირს ამის თქმა, არ მინდოდა, ანგელოზი ჯოჯოხეთში მოხვედრილიყო, რატომღაც მჯერა, ბავშვის გადარჩენაში იმ ღვთისნიერ ადამიანებთან ერთად ღმერთის ხელი ურევია.

აკი თავად მაცხოვარი ბრძანებს: „რწმენამან შენმან გაცხონა შენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა კიკილაშვილი

# კოლაუ ნადირაძე

**ტელე-რადიო დეპარტამენტის არქივიდან**

...1962 წლის ცხელი ზაფხული იყო.

ბატონ კოლაუ ნადირაძის ბინას ძლივს მივაგენი. ახლანდელ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე, მაშინ რომ პეკინის ქუჩა ერქვა და ჯერ კიდევ არ იყო ქუჩა, სამშენებლო მასალებით გადახერგილ თხრილებსა და გუბეებში ძლივს გავიკვლიე გზა, მეორე სართულზე ავედი და კარზე დავაკაკუნე. მახსოვს ბატონი კოლაუს განცვიფრებული სახე, როგორ მიპოვეო (იმ წლებში მას ნაკლებად ეძებდნენ).

...და რაკი ვიპოვე, რაკი ჩემს გულწრფელობაშიც მალე დარწმუნდა, დარწმუნდა, რომ გულით მინდოდა მისი სტუდიაში მობრძანება, რათა მასზე გადაცემა მისივე მონაწილეობით მომზადებულიყო, თანაც, ეს მხოლოდ ჩემი პირადი სურვილი იყო და სხვა არაფერი, დამეთანხმა და სულ მალე მოვიდა კიდეც.

„მე მიყვარს დილა" პირველი ლექსია, რომელიც ბატონი კოლაუს წაკითხვით მოვისმინე, ეს პირველი ჩანაწერია მისი ჩანაწერების საკმაოდ მოზრდილი კოლექციისა.

როცა იგი სტუდიაში იჯდა და ამ ლექსებს კითხულობდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქართული პოეზიის ამ მშვენიერი ქმნილების მეორედ დაბადების მოწმე ვიყავი... ლექსი ჩემს თვალწინ ხელმეორედ იქმნებოდა. დამეთანხმებით, ბატონი კოლაუ შეუდარებლად კითხულობს ამ ლექსს... და არა მხოლოდ ამ ლექსს.

საერთოდ ასეა: როცა ლექსს თუ მოთხრობას ავტორის წაკითხულს ისმენ (იშვიათი გამონაკლისის გარდა), იგი შენს თვალწინ თითქმის ხელახლა იბადება. გავიხსენოთ ტიციან ტაბიძის „ლექსის დაბადება"...

> როცა პწკარები პწკარებს დევნიან,
> საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა...

ან:

> მოსკდება წვიმა თქეშით და ქაფით
> და მოვარდება ლექსი წელკავად...

და ბოლოს:

> გადაიარა და გადათელა,
> როგორც კალია გათელავს ყანას,
> მერე დაენთო თაფლის სანთლად,
> რომ გაანათოს მთელი ქვეყანა...

რამდენი ასეთი შედევრი იცის ქართულმა პოეზიამ — წელკავად მოვარდნილი თუ გულის თრთოლვით დაბადებული... შემდეგ კი, ჩვენდა საკვეთილოდ, თაფლის სანთლად დანთებული...

რადიოსა და ტელევიზიაში წლების მანძილზე მუშაობისას ასეთი ხელახალი დაბადების მოწმე ბევრჯერ ვყოფილვარ, თუმც, ეს განცდა, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად მქონია. ბატონი კოლაუს ჩანაწერები ამ მხრივ იშვიათთა შორის იშვიათია. ის, რაც მისი, საერთოდ, თავშეკავებული ლექსის სტრიქონებს მიღმა იკითხება, როცა მის მიერ წაკითხულს ვისმენთ, თითქოს ზედაპირზე ამოდის, თითქოს შიშვლდება და ემოციური ზემოქმედებაც უფრო მძლავრდება.

> განა არ ვიცი, რომ მოვა ჟამი
> და ვერ ვიხილავ შენს მთებს და
> ჭალებს...

რარიგ სადად, რარიგ უბრალოდ არის ნათქვამი სულის შეგუბებამდე მტკივნეული განცდა გარდუვალისა — შერწყმული მშობლიური მთაველის სიყვარულთან.

> ქვეყანავ ჩემო, ყველაზე
> ტკბილად
> შენ მომასვენებ და დამაძინებ,
> თვით შენი მიწა იქნება თბილი,
> მე ის არასდროს არ დამამძიმებს...

...დიდი ხანი არ არის, რაც ამ სტრიქონების ავტორის ხანგრძლივი ცხოვრებით დაღლილ სხეულს მშობლიური მიწის სითბო ფარავს... თუმც დაღლა მხოლოდ ბოლოს დაეტყო. ეს არ იყო ჩვეულებრივი ხანგრძლივი ცხოვრება. ეს იყო მშვენიერების ძილვით თავდავიწყება მშვენიერების განცდა და ტკივილი, გაუსაძლისი ტკივილი — წუთისოფლის ეკლიან გზებზე გადატანილი — უმთავრესად უახლოეს ადამიანთა ტრაგიკული ბედის, მათი დაკარგვის, მათთან განშორების გამო.

ტიციანი, პაოლო, გრიგოლ რობაქიძე... სხვა მეგობრები, ახლობლები... მათი ტრაგედია, მათი ხსოვნა მისმა სულმა ცოცხლად ატარა, ატარა დიდხანს, თითქმის საუკუნე... ერთი მიძღვნა აკი ასე დაამთავრა:

> მე მინდა სიკვდილს ჯერ გავუმკლავდე,
> და გულში მიზნად მაქვს დასახული,
> ცოტა ხანს დავრჩე როგორც პურპელი,
> სადაც შენ კიდევ ხარ შენახული...

როცა კოლაუ ნადირაძის ლექსებისა თუ მოგონებების წიგნს გადავფურცლავთ, ეს სახელები ხშირად შეგვხვდება — მათ უძღვნის ლექსებს, მოგონებებს.

ვის არ ახსოვს 1918 წელს დაწერილი ლექსი, რომელიც პაოლო იაშვილს უდიდესი სიყვარულის ნიშნად უძღვნა, უძღვნა, როგორც მშვენიერი ყვავილი:

> მთვარის ლანდები კრთიან ხეებზე —
> თეთრად ნაქარგი!
> შენ ნუღარ სტირი წარსულ დღეებზე,
> დამშვიდდი, კარგი!
> ისეთი ღრმაა და წმინდა ზეცა —
> ალერსით სავსე,
> თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა
> ლოცვის დროს თავზე!
> ო, ღმერთო ჩემო, ეს სავსე გული
> შენ ჩაგაბარე,
> და მან ეს ღამე მთვარით ქარგული
> გადაათეთრე!..

ანდა ისევ პაოლოსადმი მიძღვნილი სტრიქონები:

> პაოლო, ჩემო სისხლო და ხორცო,
> დაე, მე მომხვდეს მრისხანე მეხი!
> მინდა მაგ თვალზე ცრემლი მოგხოცო,
> და მწარედ დაღლილს დაგბანო ფეხი...

...1967 წლის გაზაფხულზე ჩვენმა რედაქციამ პაოლო იაშვილის ოჯახისგან მისი ხმის ჩანაწერი მიიღო. ეს გახლდათ პაოლო იაშვილის ლექსი — „მაგიდა ჩემი პარნასი" ქართულად და რუსულად — ჩაწერილი მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს. ამ ჩანაწერისთვის მოსკოვის არქივებში მწერალ ირაკლი ანდრონიკოვს მიეგნო და პაოლო იაშვილის ოჯახისათვის გამოეგზავნა.

რა თქმა უნდა, ბატონ კოლაუს დავურეკე და ეს ამბავი ვაცნობე. ბატონი კოლაუ მაშინვე მოვიდა. სტუდიაში შევედით. მან ჩანაწერი მოისმინა, შემდეგ უსიტყვოდ ადგა და სტუდიიდან გამოვიდა. გამოვყევი. არაფერს ამბობდა. ფიქრით სადღაც შორს იყო წასული და ირგვლივ ვერაფერს ველარ ამჩნევდა. შევწუხდი. ვინანე. ვიგრძენი, რომ დაუფიქრებლად მოვიქეცი. კიბის თავამდე რომ მივაცილე, მაშინღა თქვა, — ვერ წარმოიდგენთ, რა გამაოგნებელია დიდი ხნის დაკარგული უახლოესი ადამიანის ხმის მოსმენაო. მერე დამემშვიდობა და წავიდა.

კარგა ხანს ველარ ვურეკავდი. მერე ვთხოვე, იქნება მოგონებები დაეწერა ჩვენთვის, რამდენიმე ხნის

შემდეგ მართლაც მოვიდა და მოგვიტანა მოგონება პაოლო იაშვილზე — „დებედაჩაის ღამე“. მოგვიტანა სხვა მოგონებებიც — ანდრეი ბელის ჩამოსვლა თბილისში და ტიციანის ბინაზე გამართული შეხვედრა. ამავე დღეს ჩავწერეთ ფრაგმენტებიც ავტობიოგრაფიიდან.

უფრო ადრე — 1864 წლის იანვარში ჩავწერეთ მოგონება ვალერიან გაფრინდაშვილზე, სანდრო ცირეკიძესა და ნიკო ლორთქიფანიძეზე სათაურით — „დათოვლილ ქუთაისში“ — მოგონებათა ფურცელი, რომლის ხელნაწერი ჩემთან ინახება.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა 1982 წლის თებერვალში. ჩვენი საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა.

ეს იყო პოეტის პატარა და მყუდრო სამუშაო ოთახში.

ყველაზე მეტად, რაც ამ შეხვედრის შემდეგ ხსოვნაში ჩამრჩა, რამაც გამაოცა, ის იყო, რომ 90-ს მიტანებულ პოეტს უცვლელად შერჩენოდა ქორჩიოტას ნედლი სურნელის განცდის უნარი, შარშანდელი ხმელი ფოთლების სილამაზით ტკბობის უნარი, მშვენიერებით აღტაცების უნარი... 'აღარას ვამბობ პოეზიით, ჭეშმარიტი შემოქმედებით აღტაცებაზე.

მაგიდაზე გადაშლილი ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების პავლე ინგოროყვას მიერ 1945 წელს გამოცემული კრებული. ბატონ კოლაუს თურმე მხოლოდ უკანასკნელ ხანს მიექცია ყურადღება იმ ფაქტისათვის, რომ „შემოღამება მთაწმინდაზე“ ბარათაშვილს 14-15 წლის ასაკში აქვს დაწერილი და ამ ფაქტით მთელი არსებით შეძრული იყო. „ჩემს მეგობარს — პავლე ინგოროყვას დავურეკე და ვკითხე, ნუთუ ეს მართალია-მეთქი, — ამბობდა ბატონი კოლაუ, — დაუჯერებელია, ასეთი მაგალითი მსოფლიო პოეზიის ისტორიამ არ იცის... ვიცი რემბო, ვიცი ლერმონტოვი, სხვებიც, მაგრამ ეს მაინც წარმოუდგენელი ფაქტია... „შემოღამება მთაწმინდაზე“ უბრწყინვალესი ნიმუშია ქართული პოეზიისა... ლექსის ეს ფორმა არ გამეორებულა არც ჩვენი დიდი პოეტის — გრიგოლ ორბელიანის, არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას შემოქმედებაში... რა ენით მეტყველებს, რა ენით! რა ენით და რა სიღრმით მეტყველებს!“

ვისაუბრეთ თანამედროვე მწერლობაზეც — ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაზე“, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ გეგეშიძის პროზაზე. სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გავიხსენებ მხოლოდ ერთ ამბავს:

ბატონმა კოლაუმ ბრძანა, „ბედმა მიწყალობა და ღირსი გამხადა“ იმისა, რომ ახლოს მენახა წინა თაობის დიდი მწერლები — ჩვენი დიდი კლასიკოსები — აკაკი წერეთელი და დავით კლდიაშვილი. მაგრამო, განაგრძო მან, „ბედმა დამჩაგრა“ იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ 13 წლის ვიყავი, როცა ილია მოკლეს, ილია ვერ ვნახეო. ილია — „საქართველოს მამა, ჩვენი ქვეყნის უდიდესი ადამიანი... ჩვენ, ქართველებმა, ისეთი „ვაჟკაცობა“ გამოვიჩინეთ, ისეთი „გმირობა“, პირდაპირ შუბლში ვესროლეთ ტყვია და ეს ტყვია არ აცდენია, ბატონო, მასო“.

აქ მინდა გავიხსენო კოლაუ ნადირაძის ერთი ლექსი — ყველასთვის კარგად ცნობილი — „წიწამურიდან საგურამომდე“...

არ შეიძლება არ გახსოვდეთ, როგორ კითხულობს ამ ლექსს ჩვენი დიდი მსახიობი და მხატვრული კითხვის საუკეთესო ოსტატი სერგო ზაქარიაძე. მან ძვირფასი ჩანაწერები დატოვა რადიოს ფონდში და ამ ლექსის ჩანაწერი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. როცა ბატონ კოლაუს ვკითხე, რა აზრის ბრძანდებოდა ამ ჩანაწერზე, მიპასუხა, „სერგო ზაქარიაძე კითხულობს ისე, როგორც პოეტი გრძნობს და განიცდის. იგი იმ გაგებით და იმ ჩაწვდომით კითხულობს, როგორც, ვაგლახ, რომ იშვიათად კითხულობს ვინმეო“.

კიდევ ერთი შეხვედრა...

1987 წლის 1 ივნისი. ეს თარიღი აწერია ბატონ კოლაუს მოგონებების წიგნს, რომელიც სწორედ იმ დღეს მაჩუქა.

იგი უკვე დაღლილი ჩანდა, დაღლილი, მოტეხილი, შეწუხებული... რამდენი ტკივილი განეცადა თუნდაც იმ ყველასათვის ცნობილი ლექსის — „25 თებერვლის“ გამო. რა თქმა უნდა, საკუთარი თავი არ აწუხებდა, იმ ადამიანთა ბედით იყო შეძრწუნებული, ვისაც ამ ლექსთან დაკავშირებით უსიამო ამბები შეემთხვა.

ამ მოგონების დასასრულს მინდა ბატონი კოლაუ ისევ მხნე და გაუტეხელი გავიხსენო, ისეთი, როგორიც მუდამ იყო.

1980 წელს მარჯანიშვილის თეატრში 66 წლის კოლაუ ნადირაძეს საღამო მოუწყეს. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მას საჯაროდ უთხრეს მადლობა. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო. ბატონ კოლაუს სცენაზე ნოდარ დუმბაძე შემოუძღვა და თბილი სიტყვით მიეალერსა. სამწუხაროდ, ამ საღამოს ჩანაწერი ვერ შევინახეთ, შემოგვრჩა მხოლოდ კოლაუ ნადირაძის მიერ ნათქვამი ბოლო სიტყვები — ქართველოს მომავლის, მისი უეჭველი ბედნიერების რწმენით აღსავსე.

უპირველესად საზოგადოებას მადლობა უთხრა ყურადღებისა და სიყვარულისათვის. მერე კი თქვა:

— მე მომეცა უფლება და ბედნიერება ფეხი დამედგა ჩემი უკვდავი საქართველოს მიწისათვის. ჩემი ქვეყნის საამაყო შვილთა ძვლებით და სისხლით გაპოხილი, მათი დედების ცრემლით მორწყული მიწისათვის. მე ამ მიწაზე სასეირნო ნაბიჯით არ მივლია — საკუთარი თავისთვის ამის ნება არ მიმიცია... მძიმე და საპასუხისმგებლო იყო ჩემი სიარული. დღეს ვრწმუნდები, რომ სულ მცირე, წარმოუდგენლად მცირე წვლილი მაინც შემიტანია იმ საგანძურში, რომელსაც ღვთაებრივი ქართული პოეზიის საგანძური ჰქვია.

ბედმა მეორე ამბავიც მარგუნა, ის, რომ ორი საუკუნის მიჯნაზე ვცხოვრობდი — მე-19 საუკუნე ამ ღვთაებრივი ქართული პოეზიის მწვერვალი იყო... მოვესწარი — მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში — ქართული პოეტური სიტყვის განახლებას და შემდეგ დიდი ქართული პოეზიის აყვავების მომენტს. ახლა კი უკვე მე-20 საუკუნის მიჯნაზე ვდგავარ.

დიდი და მძიმე დღეები მაქვს გადატანილი, უდიდესი სულიერი ტრავმები, რაც ასეთი სიუხვით მომაგო ბედმა, რასთან შედარებითაც ფიზიკური ტრავმები არაფერს ნიშნავს. მძიმე იყო ისეთი მეგობრების დაკარგვა, მე რომ დავკარგე... და ზოგჯერ შესაძლებლობაც არ მომეცა, ერთი მუჭა მიწა მიმეფრქვია მათი საფლავებისათვის.

მაგრამ იმედი მაქვს და ვიცი, რომ ეს მიწა და ჩემი ხალხი — ჩემი ღმერთი და ერთადერთი სამლოცველო ჩემი ტაძარი — ჩემი ქვეყანა გადაიტანს კიდევ უარეს და უკეთეს ამბებსაც... შეესწრება მრავალს და ისევ აყვავდება იმ ეკლიანი ვარდებით, რომელთა კრეფა უფრო მახარებდა, ვიდრე ისეთი ყვავილების, ეკალი რომ არ ახლდა. მტკივნეული იყო ამ ეკლიანი ყვავილების კრეფა, მაგრამ რა ვუყოთ მერე, მე ასეთი ყვავილების კრეფას ვამჯობინებდი, — ასე დაამთავრა ბატონმა კოლაუმ თავისი სიტყვა.

ვინ იცის, რამდენს უკრეფია ეკლიანი ყვავილები საქართველოს დიდი ისტორიის მანძილზე — სამშობლოსათვის ღვაწლის გაწევა, თავდადება და თავგანწირვა მართლაც რომ ეკალს და ტკივილს მოითხოვს. სამშობლოს ნამდვილი სიყვარული ასეთია და სწორედ ასეთმა სიყვარულმა შექმნა საქართველო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაწყისი საიმედოა

ვინ მოთვლის, მერამდენედ ამშვენებს ჩვენი ჟურნალის გარეკანსა თუ შიდა გვერდებს ქართველ მოჭადრაკე ქალთა სწორუპოვარი სახელები.

სულ ცოტა ხნის წინ კი ნანა იოსელიანის სენსაციურმა წარმატებამ „უძლეველი" პოლგარების უფროს დასთან ერთბაშად აალაპარაკა მთელი საჭადრაკო სამყარო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნონა გაფრინდაშვილის გაკვალულ გზას ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს.

როგორც ეგზიუპერი ამბობს, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. თავის ბავშვობიდან მოდიან დღეს უკვე სახელოვანი ჩვენი მოჭადრაკეებიც. კარგად მივუგდოთ ყური ამ ბავშვობას — იქ ბევრ ახალ და საინტერესო სახელს შევხვდებით.

არც ის არის შემთხვევითი, თუ ერთ-ერთ მათგანს ჩვენი ჟურნალის სწორედ იმ ნომერში გავეცნობით, რომლის გარეკანსაც მსოფლიო პირველობის ფინალისტის ნანა იოსელიანის სურათი ამშვენებს.

მოდით, ნუ ვიქნებით სიტყვაძუნწები, აქედანვე დავანათლოთ ამ პატარა გოგონას სახელოვან ქართველ მოჭადრაკე ქალთა ღირსეული მემკვიდრეობა.

სოფიკო ტერელაძისა და სოფიკო ნიკოლაძის საკმაოდ ცნობილ სახელებს ცხრა წლის სოფიკო გვეტაძეც შეემატა და მოჭადრაკე გოგონათა მშვენიერი „სამაია" შეიკრა.

თუმცა, უფროს სეხნიებთან შედარებით, პატარა სოფიკოს წვლილი ჯერჯერობით ერთობ მოკრძალებულია, მისი ამჟამინდელი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია თვლის, რომ სოფიკოს ყველა მონაცემი გააჩნია ჭადრაკში დიდი წარმატების მისაღწევად.

თამაში ხუთი წლიდან დაიწყო. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ვახტანგ ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო სპორტულ სკოლაში მწვრთნელ პაატა გაფრინდაშვილთან ეზიარა ჭადრაკის ანა-ბანას.

პირველ სერიოზულ წარმატებებს კი გასული წლის ივნისში, ალა ჩაიკოვსკაიას ხელმძღვანელობით მიაღწია. ეს იყო 8-დან 10 წლამდე ასაკის თბილისის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატში მესამე ადგილი, რითაც სოფიკომ პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი და რესპუბლიკურ შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ამას მოჰყვა საგზური საქართველოს პირველობის ფინალში თამაშისათვის. ეს ჩემპიონატი იმავდროულად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირს წარმოადგენდა, სადაც სოფიკომ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მაგრამ საგზურის მიღმა დარჩა, რადგან პირველ ადგილზე გასულს მიეცა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშის, ხოლო მეორე ადგილზე გასულს შესაბამისად — ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება.

წარმატებას ახალი წარმატება მოჰყვა. თებერვალში ჩატარებულ თბილისის პირველობაზე 10-12 წლის გოგონათა შორის სოფიკო გვეტაძემ დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი — ცხრა შესაძლებლობიდან ცხრა ქულა მოაგროვა და უახლეს მდევარს 1,5 ქულით გაუსწრო. ამ ბრწყინვალე გამარჯვებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მომავალი შესარჩევი ტურნირის საგზური ღირსეულად მოიპოვა.

თბილისის პირველობის შემდეგ სოფიკომ მონაწილეობა მიიღო ამავე რანგის ჩემპიონატის ნახევარფინალში, ოღონდ უკვე 12-14 წლამდე ასაკის გოგონებში და, აქაც ფინალისკენ გაიკვლია გზა, სადაც კიდევ ერთხელ შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცხრა წლის სოფიკო უფროსი ასაკის გოგონათა შორისაც წარმატებით მონაწილეობს, შედეგები მეტად დამაიმედებელია.

ნორჩი მოჭადრაკის შტრიხებს ელფერს ისიც მატებს, რომ იგი ძირძველი ტრადიციების მქონე 53-ე საშუალო სკოლის მე-4-ბ კლასის წარჩინებული მოსწავლეა. ძალიან უყვარს კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ამალია ჯიბლაძე. როგორც სოფიკოს მშობლები თვლიან, დამრიგებელი მისი ყველა წარმატების ხელშემწყობი და თანამოზიარეა არამარტო სკოლაში, ჭადრაკშიც.

სოფიკო მთელ თავისუფალ დროს ჭადრაკს უთმობს. მოხდენილად უზის პატარა ფერია ჭადრაკის დაფას, საათობით ჩაჰკირკიტებს ყოველ ფიგურას, სჭვრეტს, არჩევს, აანალიზებს ამა თუ იმ პარტიას. შინ მეტწილად მშობლებთან თამაშობს. მამას დიდი სურვილი აქვს, თავისი ბავშვობის აუხდენელი მისწრაფება შვილში განხორციელდეს. ამიტომაც არ შორდება გვერდიდან, მისი საუკეთესო მრჩეველი და მეგობარია.

დაველოდოთ სოფიკოს ცხოვრების ნამდვილ გაზაფხულს. მომავალში, ვინ იცის, ჩვენ იგი იქნებ იმ გვერდზეც ვიხილოთ, საიდანაც დღეს მსოფლიოში სახელგანთქმული მოჭადრაკის ნანა იოსელიანის ფოტო შემოგვცქერის.

**თამუნა მაღრაძე**

„დროშა" № 1-2-ში

გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. აფხათი; 4. დიზაინი; 7. ნარი; 8. ქატო; 10. ხკა; 12. ჰიაურელი; 13. ალკოვი; 15. ტერმინი; 18. პომადა; 23. დოლი; 24. ილფი; 26. რიხი; 27. კაპირუხი; 29. ადლი; 30. არშია; 31. იოგა; 33. ბუნაგი; 36. ბზა; 37. იარა; 39. ლოქო; 41. ხაბო; 42. ხია; 43. ტანზანია; 44. ვალი.

**ვერტიკალურად:** 1. ალქმა; 2. ინა; 3. არტისტი; 4. დიორამა; 5. ზაბლონა; 6. ნიკე; 9. ტუკი; 11. ხტენდი; 14. დიყი; 16. ხპარტა; 17. გორულა; 19. მახვში; 20. ალი; 21. დოპინგი; 22. კაპრი; 25. იადონი; 28. იპოდრომი; 32. ოდა; 33. ბარდა; 34. იარდი; 35. დოქი; 36. ბოა; 38. ფაზა; 40. ენა.

გარეკანის პირველ გვერდზე: მსოფლიო ჩემპიონობის ფინალისტი ნანა იოსელიანი.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42; რედაქციის სამდივნოსი — 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

გადაეცა წარმოებას 21.01.98. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.04.98. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,0. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,63. ტირაჟი 10 000. შეკვეთა 140. ფასი 10 მან.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Самшобло» (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.



ნორჩი მოჭადრაკე
სოფიკო გვეტაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინდექსი 76056**

